# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№35 (24.915) შაბათი, 9 - 11 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 14-19, შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 753 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კვირის ნიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რეგიონული ტურნეს ფარგლებში, ბოლნისში იმყოფებოდა. პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი დოხტურიშვილი იმყოფებოდნენ. პრემიერმა რეგიონში მიმდინარე მშენებლობები დაათვალიერა, შეხვდა ადგილობრივ ფერმერებს.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა ნატოს მინისტერიალის ფარგლებში შეხვედრა გამართა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან. შეხვედრაზე ხაზი გაესვა გენერალური მდივნის განსაკუთრებულ პერსონალურ მხარდაჭერას საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. მხარეებმა დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლონ, ასევე გაცვალეს მოსაზრებები რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებით. ილია დარჩიაშვილი მინისტერიალის ფარგლებში შეხვდა თურქ კოლეგა მევლუთ ჩავუშოღლუს, სხვა არაერთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს და დიპლომატებს.

* * *

თბილისში ვიზიტით მყოფი ჰელსინკის კომისიის უფროსი მრჩეველი მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე აშშ-ის ელჩთან საქართველოში კელი დეგნანთან ერთად საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა. საუბარი შეეხო რუსეთის უკრაინისადმი აშშ-ისა და საქართველოს სოლიდარობას, რუსულ აგრესიასთან დაპირისპირებასა და ორმხრივი ურთიერთობების გააქტიურებას.

* * *

„ლელოს“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ პარტიის ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ შეიმუშავეს ლუსტრაციის შესახებ კანონპროექტი, რომელმაც ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები საკანონმდებლო დონეზე უნდა დაარეგულიროს და აკრძალოს. „ბოლო 30 წლის განმავლობაში ვერცერთმა ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა ძალამ ვერ მიიყვანა ეს საკითხი ბოლომდე. იმედი გვაქვს, დღეს უკრაინისთვის და საქართველოსთვის ამ გადამწყვეტ მომენტში, ჩვენ, სრულიად საქართველოს გვეყოფა ძალა, მივიღოთ ეს კანონმდებლობა საქართველოს პარლამენტში“, - განაცხადა მან.

მოამზადა
ია შველიძე

# საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი – აჭარაში

***საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აჭარაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.*** მას თან ახლდნენ მოადგილე ილია ღუდუშაური, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ჯაბა სირბილაძე და სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გვანცა გასვიანი.



ზურაბ აზარაშვილი აჭარის ჯანდაცვის მინისტრს ნინო ნიჟარაძეს შეხვდა და მასთან ერთად ეკომიგრანტთა განსახლების საკითხები, ასევე ჯანდაცვის კუთხით რეგიონში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები განიხილა. ისაუბრეს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმებზე, ერთობლივ პროგრამებსა და სამომავლო გეგმებზე.

„საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ჯანმრთელობისა და სოციალურ სფეროში დაგეგმილ აქტივობებს გაეცნო. განვიხილეთ ის სამედიცინო სერვისები, რომელზეც ყველაზე დიდია მოთხოვნა და პრიორიტეტულია რეგიონისათვის, ასევე, რესპუბლიკური საავადმყოფოს მომავალი განვითარების გეგმა. ვისაუბრეთ სოციალურ მიმართულებაზე, მოსახლეობის კმაყოფილების დონეზე, განსაკუთრებით, მედიკამენტების ფასების კლებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი დასაქმების პროგრამის მნიშვნელობაზე, შევეხეთ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას და ვაქცინაციას. შეხვედრა იყო ნაყოფიერი და ვფიქრობ, მოქალაქეების საკეთილდღეოდ კიდევ ბევრი საკითხი გადაწყდება“, - განაცხადა შეხვედრის შემდეგ აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ვიზიტის ფარგლებში ზურაბ აზარაშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც იმყოფებოდა. დაათვალიერა კლინიკა და მედპერსონალს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე მიულოცა. მინისტრმა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ იგი მრავალპროფილური უნდა გახდეს და ადგილობრივ მცხოვრებლებს მეტი სერვისი შესთავაზოს. „ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს ვეწვიეთ აჭარას. შევხვდით ჯანდაცვის მინისტრს და განვიხილეთ რეგიონის გამოწვევები ჯანდაცვის მიმართულებით, ასევე, თუ სად იყო ჩვენი მხარდაჭერის საჭიროება. დავათვალიერეთ რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც წელიწადნახევარია რაც გაიხსნა და იყო კოვიდკლინიკა. დღეისათვის მნიშვნელოვნად არის შემცირებული როგორც ინფიცირების, ასევე ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა. ამ კლინიკაში ახლა უკვე საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობა, რომ გახდეს მრავალპროფილური, მოემსახუროს ადგილობრივ მცხოვრებლებს და შესთავაზოს ყველა სამედიცინო სერვისი. შევთანხმდით, რომ უახლოეს კვირაში იქნება წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, თუ რა არის საჭირო, ასევე იმაზე, როგორ შეიძლება კლინიკის შემოსავლები იყოს სტაბილური“,- განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.



ელენე საყვარელიძე

# 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის პროცედურები იწყება

***აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში აჭარის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის პროცედურები იწყება***

უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს რიგით მე-4 სხდომაზე მიიღეს. საკითხი ბიუროს წევრებს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ წარუდგინა. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება, რომელიც სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა, ბიუროს გადაწყვეტილებით, მზადაა პლენარულ სხდომაზე განხილვისთვის.



ბიუროს წევრებმა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირეს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ფრიდონ ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილ კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს დებულებას.

სხდომაზე განიხილეს და ცნობად მიიღეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტების 2022 წლის სამოქმედო გეგმები.

ბიურომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებას, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს აპარატის უფროსმა ზურაბ ჭურკვეიძემ წარმოადგინა.

ია შველიძე


## საკრალური აპრილი... 3

## ...იარაღი ვერ გადაწყვეტს კონფლიქტს 5



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! ☎ 27-48-93

# მიზანი – მევენახეობის განვითარება



მევენახეობაში არსებული მდგომარეობის გაცნობის და არსებული პრობლემების განხილვის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტში მევენახე ფერმერებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად შეხვდა.

შეხვედრაზე მევენახეობასა და ზოგადად, აგრარულ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, გამოწვევებზე, მუნიციპალიტეტში მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს.

გიორგი სურმანიძემ ქედის მუნიციპალიტეტის მერთან როლანდ ბერიძესთან ერთად, არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამრეწველო ვენახების გაშენებასა და მეღვინეობის განვითარებასთან ერთად, მუნიციპალიტეტში, რომელსაც ამ მხრივ ძალზე კარგი ტრადიციები აქვს, აუცილებელია სასუფრე ყურძნის ვენახების გაშენებაც, ყურადღება გამახვილდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მუნიციპალიტეტში არსებული ლაბორატორიის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაზე.

„ჩვენ ვქმნით ინსტრუმენტებს იმისათვის, რომ ფერმერებმა ნაკლები დანახარჯებით, უფრო მეტი კონკურენტუნარიანი პროდუქცია შექმნან და მეტი შემოსავალი მიიღონ. ვაკეთებთ იმის მაქსიმუმს, რაც გასაკეთებელია, ვდგავართ ჩვენი ფერმერების, მევენახეების გვერდით,“ - განაცხადა გიორგი სურმანიძემ.

როგორც ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტკარაძემ აღნიშნა, მსგავსი შეხვედრების მიზანი მევენახეობაში არსებული მდგომარეობის გაცნობა და დარგის შემდგომი განვითარებისთვის ხელშეწყობაა.

შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი ლევან ბოლქვაძე და „აგროსერვისცენტრის“ დირექტორი გოჩა ბერიძე.

**ანკა ჩხიკვაძე**

# რიგიდან ფრენები შესრულდება



***აჭარის ტურისტულ პროდუქტებს ბალტიისპირეთის ქვეყნების ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები გაეცნენ.***

ონლაინშეხვედრებზე, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ავიაკომპანია Air Baltic-ის ორგანიზებით გაიმართა, რიგიდან ბათუმის მიმართულებით დაგეგმილ პირდაპირ ფრენებსა და აჭარის ტურისტულ შესაძლებლობებზე ისაუბრეს. შეხვედრას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წარმომადგენელიც ესწრებოდა, რომელმაც საქმიანი ტურიზმის მიმართულებით საქართველოს პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

ლატვიის დედაქალაქიდან ბათუმის მიმართულებით პირველი ფრენის შესრულება 2 მაისსაა დაგეგმილი. ფრენებს „რიგა-ბათუმი-რიგა“ ავიაკომპანია Air Baltic-ი შეასრულებს და ის კვირაში ერთი სიხშირით, სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

**ანკა ჩხიკვაძე**

# განახლებული საზაფხულო თეატრი



ბათუმის საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია დასრულდა. განახლდა თეატრის ინტერიერი, განათებისა და გახმოვანების სისტემები. მოწესრიგდა შენობის ფასადი. თეატრის ტერიტორიაზე დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. პროექტის ღირებულება 500 ათასამდე ლარს შეადგენს.

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ახლად რეაბილიტირებული საზაფხულო თეატრი დაათვალიერა და შეხვედრა გამართა საზაფხულო თეატრისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებთან. მერმა მათ განახლებული შენობის გახსნა მიულოცა, სამადლობელი სიგელები გადასცა და შემოქმედებითი წინსვლა უსურვა.

- დავასრულეთ ბათუმის საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია, რომელიც უმშვენიერესი ზღვისპირა ბულვარის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. სულ მალე როგორც ბათუმელები, ასევე სტუმრები შეძლებენ ახალ გარემოში საინტერესო თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებზე დასწრებას,- აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა. მისი თქმით, რეაბილიტირებული საზაფხულო თეატრი უახლოეს პერიოდში უმასპინძლებს კულტურულ ღონისძიებებს.

**ანკა ჩხიკვაძე**

## უკრაინა

***„აშშ-მა უკრაინას 12000-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო სისტემა და ასობით მკვლელი-დრონი გადასცა“. - წერს CNN.***

სიაში შედის: 1400-ზე მეტი Stinger საზენიტო სისტემა; 5000-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო სისტემა Javelin-ი; 7000-ზე მეტი სხვა ტანკსაწინააღმდეგო სისტემა; ასობით ტაქტიკური Switchblade დრონი; 50 000 000-ზე მეტი საბრძოლო მასალა; 45000 კომპლექტი ჯავშანი და ჩაფხუტი; ლაზერით მართვადი სარაკეტო სისტემები; პუმას უპილოტო საჰაერო სისტემები; ღამის ხედვის მოწყობილობები, თერმული გამოსახულების სისტემები და ოპტიკა; კომერციული სატელიტური გამოსახულების სერვისები.

* * *

უკანასკნელი ათი წლის მონაცემებით, რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე საკვები პროდუქტების ფასების ყველაზე მაღალი, მზარდი მაჩვენებელი გამოავლინა. ამის შესახებ ინფორმაციას გაერო ავრცელებს. FAO-ს თანახმად, ომის გამო, კვების პროდუქტების ფასი ყოველწლიურ მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის მესამედით გაიზარდა. ამის მიზეზად უკრაინიდან და რუსეთიდან მარცვლეულის ექსპორტის შეფერხება მიიჩნევა. ამასთან ერთად, BBC News-ი იუწყება, რომ ფასების ზრდის გამო, ყველაზე მეტად მსოფლიოს ღარიბი სახელმწიფოები იქნებიან დაზარალებულნი. ცნობისთვის, მსოფლიოს თითქმის ორმოცდაათი ქვეყანა იმპორტირებულ მარცვლეულზე გადასახდელი თანხის მესამედს უკრაინასა და რუსეთზე ხარჯავს.

* * *

უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ კრამატორსკში რკინიგზის სადგურზე ავიაიერიში განხორციელდა, - ამის შესახებ გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა. „კრამატორსკის რკინიგზის სადგურზე 2 რაკეტა ჩამოვარდა, ავიაიერიშს 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა“, - აღნიშნა ალექსანდრე კამიშინმა. უკრაინის რკინიგზის კომპანიის ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. სარაკეტო დარტყმის დროს სადგურზე ათასობით ადამიანი იმყოფებოდა, რადგან დონბასის მცხოვრებლების ევაკ-უაცია უსაფრთხო ადგილებში მიმდინარეობს.

* * *

„უკრაინა გახდა ერთ-ერთი ყველაზე დანაღმული ქვეყანა“, - ამის შესახებ უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა. მისი თქმით, უკრაინა თანდათან უბრუნდება ჩვეულებრივ ცხოვრებას, ასევე, ნაკლებად დაძაბულია სიტუაცია კიევის ირგვლივ. მაგრამ სიტუაცია რთული და სახიფათო რჩება ნაღმების და სხვა ფეთქებადი ობიექტების დიდი რაოდენობის გამო, რომლებიც უხვად არის განთავსებული ტერიტორიებზე. „სამწუხაროდ, რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის შედეგად, უკრაინა გახდა ერთ-ერთი ყველაზე დანაღმული ქვეყანა. დიდი საფრთხის გამო, ძალიან რთულია ბევრ ქალაქსა და დაბაში მისვლა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ჭურვების, რაკეტების ნარჩენების აღმოსაფხვრელად, დიდი რაოდენობის ნაღმების გასანეიტრალებლად“, - აღნიშნა ვერეშჩუკმა.

* * *

კრივოიროგთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში, რუსმა ოკუპანტებმა 16 წლის ორსული გოგონა და 78 წლის პენსიონერი ქალი გააუპატიურეს. ამის შესახებ ადგილობრივი სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ვილკულმა ისაუბრა. გარდა ამისა, კახოვკას წყალსაცავის სანაპიროზე მყოფმა ოკუპანტებმა ნავს, რომლითაც ხალხის ევაკუაცია მიმდინარეობდა, „გრადები“ ესროლეს. „ნავში 14 ადამიანი იმყოფებოდა, - სამი ბავშვი და 11 ზრდასრული. ორი ზრდასრული მამაკაცი და ერთი ქალი მაშინვე გარდაიცვალა. 13 წლის ბავშვი ცოტა მოგვიანებით გარდაიცვალა. შვიდი ადამიანი საავადმყოფოში იყო, ორი კი, დაკარგული. ეს იყო ამ ნავის მეშვიდე მოგზაურობა. ნაძირლები! კარგად იცოდნენ, რომ იქ მშვიდობიანი ხალხი იყო, მაგრამ რაკეტები ესროლეს. მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გადარჩენა სურდათ“, - თქვა ვილკულმა.

* * *

Microsoft-მა თქვა, რომ აღკვეთა რუსულ გრუ-სთან დაკავშირებული ჰაკერების მცდელობები, გაეტეხათ კომპიუტერები უკრაინაში. კიბერშეტევა მიმართული იყო „უკრაინულ ორგანიზაციებზე, მათ შორის, მედიაზე“. კომპანია თვლის, რომ ჰაკერები ცდილობდნენ სისტემებზე გრძელვადიანი წვდომის დამყარებას, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ტაქტიკურ მხარდაჭერას და კონფიდენციალური ინფორმაციის დაუფლებას.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძე**

# 16 ათასი ლარი - გარე განათებისთვის

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

გახშირებული მეწყრული პროცესების მიუხედავად, სოფელ ჩანჩხალოს მოსახლეობა არ ტოვებს. შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას სათანადო ყურადღებას აქცევს. რამდენიმე წლის წინ სკოლამდელი დაწესებულებაც გაიხსნა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს «აჭარისწყალი ჯორჯიას» თანადაფინანსებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა საჯარო სკოლას.



ჩანჩხალოში საავტომობილო გზა ორი მიმართულებიდან შედის. წელს რიგი სამუშაოებია დაგეგმილი ამ გზებზე. გარდა ამისა, 120 ათასი ლარია გამოყოფილი სოფლის ცენტრის კეთილმოსაწყობად.

მოსახლეობის წარმომადგენლებმა კრებაზე, რომლის დღის წესრიგი «სოფლის მხარდაჭერის პროგრამით» მობილიზებული 16 ათასი ლარის მიზნობრივად განკარგვა იყო, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, ჩანჩხალოელთა მაჟორიტარმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ზაზა დავითაძემ შეკრებილებს ის პროექტები და სოციალური პროგრამები გააცნეს, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტში წელს განხორციელდება.

კრების მონაწილეებმა ბადრი, გოდერძი დარჩიძეებმა, მერი დიასამიძემ წინადადება წამოაყენეს, რომ სოფლებში გარე განათების მოწესრიგების სამუშაოები დასრულდეს და 16 ათასი ლარი ამ პროექტს მოხმარდეს. უმრავლესობამ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა.

«სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» შესახებ სხეფში, დაბაძველში, ბესელაშვილებში, გუნდაურსა და მახეშიც იმსჯელეს.

აქტარა 101 №35 (24.915) შაბათი, 9-11.04.2022



# საკრალური აპრილი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*9 აპრილი მრავალჭირნახული საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული და ამავდროულად, დიდმნიშვნელოვანი თარიღია. სწორედ ამ დღეს, 33 წლის წინათ, საბჭოთა საოკუპაციო ჯარებმა ბარბაროსულად დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისში, ხოლო ორი წლის შემდეგ საქართველოს უზენაესმა საბჭომ სწორედ 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, რითაც ქართველთა საუკუნოვანი მიზანი სისრულეში მოიყვანა...*

საქართველოს ისტორია არასდროს განიცდიდა გმირების სიმცირეს, დემეტრე თავდადებული თუ ქეთევან წამებული, ამბროსი ხელაია თუ გიორგი მაზნიაშვილი... ამ უმდიდრეს გალერეაში გამორჩეული ადგილი უკავიათ 9 აპრილს დაღუპულ ახალგაზრდებსაც, საქართველოს თავისუფლებისთვის წამებულ გმირებად რომ აღიქვა მთელმა ერმა. 33 წელია, საქართველო მუხლს იყრის მათი ხსოვნის წინაშე, წმინდა სანთლებს უნთებს მათ სულებს.

1989 წლის 9 აპრილის უჩვეულო დღემ შეძრა ქართველი ერი, სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის რეალური ბრძოლა, მაშინდელი დემონსტრანტები ქვეყნის თავისუფლებას ითხოვდნენ. ამიტომაც უსასტიკესად ჩაახშეს საბჭოთა ჯარისკაცებმა ის მშვიდობიანი აქცია. ქართველები არასდროს ეგუებოდნენ სამშობლოს დამონებას, ისინი ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ და ბოლშევიკურ რუსეთსაც არ ეგუებოდნენ, რის გამოც მკაცრად ისჯებოდნენ. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ცხრა აპრილმა მაინც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, თუნდაც იმიტომ, რომ ის აქცია იყო მშვიდობიანი ანუ განდის გზა, რომელმაც შეაშფოთა კრემლი, თანაც გააშიშვლა მისი პირსისხლიანი პოლიტიკა. ამან „მოძმე“ რესპუბლიკებს გაუადვილა თავისუფლებისკენ სწრაფვა. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია: „ცხრა აპრილის გენოციდი უპრეცედენტო მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში, იგი განსაკუთრებული შემთხვევა იყო თვით საბჭოთა ჯალათების პრაქტიკაში, თვით მათი სისასტიკისა და არაადამიანობისგანაც მოულოდნელი. მშვიდობიან მოშიმშილეთა მასობრივი დახოცვა არ ჩაუდენიათ არც ლენინელ, არც სტალინელ, არც ჰიტლერელ და არც პოლპოტელ ჯალათებს, იგი პერესტროიკის ჯალათებმა ჩაიდინეს“.

მაინც, რატომ დაარბიეს ბარბაროსულად მშვიდობიანი მიტინგი, რა აშფოთებდა კრემლს და, საერთოდ, 9 აპრილის მოვლენები ეროვნული ტრაგედია იყო თუ ქართველი ხალხის უდიდესი სულიერი გამარჯვება დამპყრობთა წინააღმდეგ? - ეს კითხვა დღესაც აქტუალურია.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულ, საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძალზე გააქტიურდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა, სადაც იმართებოდა გრანდიოზული მიტინგები. დემონსტრანტთა მოთხოვნები კი შოკისმომგვრელი გახლდათ საბჭოთა წყობილებისთვის. ეს მოთხოვნა იყო ქვეყნის თავისუფლება (საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოს მიერ), რომელიც ხმამაღლა გაჟღერდა 1989 წლის 4-9 აპრილის მიტინგზე. სწორედ ამ მიზნით, 4 აპრილს, თბილისში, ტელევიზიის (ახლანდელი საქართველოს პირველი არხი) შენობასთან დაიწყო აქცია. კრემლის მესვეურნი და ადგილობრივი პროვოკატორები ცდილობდნენ, ის მიტინგი ანტიაფხაზურ აქციებად მოენათლათ. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით იმ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე ეროვნული მოძრაობის აქტივისტებსა და ზემოთ ხსენებულ პროვოკატორებს შორის კამათი გაჩაღდა, პროვოკატორები ცდილობდნენ, აქცია არასასურველი მოვლენებით განევითარებინათ, რაც არ გამოუვიდათ, რაშიც ლომის წილი მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს - ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთელსა და გიორგი ჭანტურიას მიუძღვით. მათ გამოააშკარავეს პროვოკატორები და დემონსტრაციები სასურველი სცენარით წარმართეს. 5 აპრილს, როცა „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩი მიმდინარეობდა, სწორედ ზვიად გამსახურდიამ და სხვა ლიდერებმა მოუწოდეს მაყურებლებს, გადმოენაცვლათ რუსთაველის პროსპექტისკენ. ამ გრანდიოზულ მსვლელობას გზაში შეუერთდა მრავალი ადამიანი და, ცხადია, გაძლიერდა მიტინგი. ამასობაში მთავრობის სახლთან დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობა გამოაცხადა რამდენიმე ათეულმა



ადამიანმა. ეს რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. გარდა ამისა, გაეგზავნა კოლექტიური დეპეშა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რათა მას საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის მხარი დაეჭირა. როგორც ვთქვით, ის აქცია ერთადერთი - დამოუკიდებლობის მოთხოვნით წარიმართა. 5-6 აპრილს თბილისში დაიწყო ხალხმრავალი მიტინგები და მსვლელობები, ამოქმედდა საგაფიცვო კომიტეტი, აქციას დღითი დღე სულ უფრო მეტი ხალხი ემატებოდა, გაფიცვების ტალღა ფართოვდებოდა. ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის სადამსჯელო რაზმების ჯარისკაცები უკვე თბილისში იმყოფებოდნენ და მოვლენების განვითარებას აკვირდებოდნენ. როგორც ჩანს, ისინი შეშფოთდნენ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით. იმასაც ხედავდნენ, რომ თუ თბილისის გრანდიოზული აქცია კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა, ეს კრემლისადმი არა მარტო საქართველოს დაუმორჩილებლობას ნიშნავდა, არამედ ამ პრეცედენტს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც გაითავისებდა, რაც კრემლის ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომაც გადაწყვიტა, მკაცრად დაესაჯა საქართველო. მთავრობის სახლთან დემონსტრანტთა რიგები მატულობდა, მძლავრობდა პატრიოტული სულისკვეთება, სუფევდა ერთსულოვნება და სიყვარული. 8 აპრილს, ღამით, დაახლოებით 3 საათზე მიტინგზე მობრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და მოუწოდა მომიტინგეებს, დაშლილიყვნენ, რაზედაც უარი განაცხადეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამოჩნდა ჯავშანტრანსპორტიორთა პირველი კოლონა, რომლებსაც უკან ფარებიანი და ხელკეტებიანი ჯარისკაცები მოსდევდნენ. ცხადია, დაიწყო არეულობა, ხალხმა დერეფანი გააკეთა და ჯავშანტრანსპორტიორებმაც გაიარა, თუმცა უკან მომავალი ჯარისკაცები უმოწყალოდ დაერივნენ მომიტინგეებს ხელკეტებით, ალესილი ნიჩბებითა და გაზის ბალონებით.

აშკარა იყო, რომ ჯალათებს მიზნად დემონსტრაციის დაშლა კი არა, ხალხის ალყაში მოქცევა და დასჯა ჰქონდათ დასახული. სამხედროები ხალხს საგანგებოდ მიერეკებოდნენ მთავრობის სახლის თაღებისკენ, რომ შეექმნათ ილუზია, თითქოს მას მთავრობის სახლში შევარდნა და მისი შტურმით აღება სურდა. ამ მიზანს საბჭოთა ჯარისკაცებმა ვერ მიაღწიეს, რადგან მთავრობის სახლის კიბის თავზე ქართული მილიცია იდგა. მილიციელებმა დერეფანი გააკეთეს, რითაც. მრავალი ადამიანი იხსნეს, თუმცა ამ საბედისწერო დღეს, დილის ოთხ საათზე, საქართველოს ზვარაკად 22 მამულიშვილი შეეწირა და ასობით ადამიანი დასახიჩრდა.

ერთი შეხედვით, 9 აპრილი მართლაც ტრაგედია და უბედურებაა ჩვენი ერისთვის, თუმცა, ამავე დროს, იგი მისი უდიდესი გამარჯვება და ამაღლებაცაა, - აღნიშნავდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. სწორედ ამიტომ მან მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“. სწორედ ამ დღეს სამშობლოსთვის დაღუპულები იმიერიდან გვიბრუნდებიან და ცოცხლდებიან თავიანთი უკვდავი ზნეობრივი მაგალითით, მათ გასწირეს თავი საქართველოს თავისუფლებისთვის და უკვდავყვეს სახელი თვისი.

> ***„ისინი შეშფოთდნენ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით. იმასაც ხედავდნენ, რომ თუ თბილისის გრანდიოზული აქცია კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა, ეს კრემლისადმი არა მარტო საქართველოს დაუმორჩილებლობას ნიშნავდა, არამედ ამ პრეცედენტს სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც გაითავისებდნენ, რაც კრემლის ინტერესებში არ შედიოდა***

## ურსულა ფონ დერ ლაიენი და ჟოზეფ ბორელი ბუჩაში ჩავიდნენ

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზეფ ბორელი და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ ჰეგერი უკრაინაში, ქალაქ ბუჩაში ჩავიდნენ. ინფორმაციას Nexta ავრცელებს. ბუჩაში მათთან ერთად იმყოფება უკრაინის პრემიერი დენის შმიგალი.



„ეს წარმოუდგენელია, რაც აქ მოხდა. ჩვენ პუტინის არმიის სასტიკი სახე ვნახეთ“, - განაცხადა ლაიენმა.

როგორც ცნობილია, ევროპელი ლიდერები უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრას გეგმავენ.

ამირან გურიელიძე

## უცხოეთი

ამ ომის დასრულების უმარტივესი გზაა, პრეზიდენტმა პუტინმა უკან გაიყვანოს მთელი თავისი ჯარი და დაასრულოს ომი, დაჯდეს და ჩაერთოს სერიოზულ დიპლომატიურ ძალისხმევაში გამოსავლების მოსაძებნად, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, არ არის იმის ნიშნები, რომ პრეზიდენტმა პუტინმა შეცვალა საერთო მიზანი - უკრაინის კონტროლი და ბრძოლის ველზე მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვებების მიღწევა.

* * *

ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეხუთე პაკეტი მიიღო. შეზღუდვები მოიცავს ქვანახშირისა და საწვავის ტიპის სხვა მყარი წიაღისეულის შესყიდვისა და იმპორტის, ასევე ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პორტებში რუსული დროშით მცურავი გემების შესვლის აკრძალვას. სანქციები შეეხო საბანკო სფეროს, რუსეთში კვანტური კომპიუტერების, ნახევარგამტარებისა და საავიაციო საწვავის შეტანას. აიკრძალა ხე-ტყის მასალის, ცემენტის, სასუქის, ზღვის პროდუქტებისა და ალკოჰოლის იმპორტი.

* * *

ადამიანის უფლებათა საბჭოში რუსეთის ადგილი არ არის, - ასე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოდან რუსეთის გაძევებას. „დღევანდელი ისტორიული კენჭისყრის შემდეგ რუსეთი ვერ მიიღებს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში და ვერ გაავრცელებს იქ დეზინფორმაციას, რადგან საბჭოს საგამოძიებო კომისია იძიებს რუსეთის მიერ უკრაინაში ჩადენილ ადამიანის უფლებების დარღვევებს“, - აღნიშნა ჯო ბაიდენმა. მან ბუჩასა და უკრაინის სხვა რაიონებში ჩადენილ სისასტიკეზეც ისაუბრა და თქვა, რომ აშშ და მისი პარტნიორები გააგრძელებენ ძალისხმევას, რათა რუსეთმა პასუხი აგოს, მის ეკონომიკაზე ზეწოლა გაძლიერდეს და საერთაშორისო ასპარეზიდან იზოლირდეს.

* * *

იტალიამ გამოთქვა მზადყოფნა, გამოვიდეს უკრაინის უსაფრთხოების გარანტორად. ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუიჯი დი მაიომ განაცხადა. „იტალია მზადაა, თავის თავზე აიღოს გარანტის როლი, ჩვენ მხარს ვუჭერთ მოლაპარაკებების პროცესს, გვჯერა რა მასში თურქეთის როლის“, - განაცხადა დიპლომატმა. მისივე თქმით, საკმარისი არ არის, მოლაპარაკებების მაგიდასთან იყოს მხოლოდ ორი მხარე - აუცილებელია, მასში ჩაერთონ სხვა საერთაშორისო მოთამაშეები. დი მაიოს განცხადებით, ამ დროისათვის ოფიციალური რომი მუშაობს მშვიდობიანი კონფერენციის ორგანიზებაზე, რომლის მიზანი კონფლიქტის მოგვარებაში დახმარებაა.

* * *

თურქეთის მმართველი პარტია, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევისთვის, ქვეყნის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ნობელის პრემიაზე წარდგენის წინადადებით გამოდის. „ჩვენს პრეზიდენტს არ სჭირდება ნობელის პრემია, მაგრამ თუ თავის დროზე იგი გადასცეს ობამას, მაშინ ჩვენს პრეზიდენტს იმ ძალისხმევისთვის, რასაც სწევს უკრაინაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად, უნდა მიენიჭოს ნობელის პრემია“, - განაცხადა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა სუნაი კარამაკმა. ინიციატივას მხარი დაუჭირა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ.

მოამზადა
ია შველიძემ

# მამუკა არეშიძე: მათი ძირითადი ამოცანა რუსეთის ეკონომიკის დანგრევა, მისი მაქსიმალური დასუსტებაა... ამას შეეწირება თუ არა უკრაინა, ეს მეორე საკითხია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*პარადოქსულ ფაქტს აღნიშნავს „აჭარასთან“ ექსკლუზივში პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე, კერძოდ, რუსეთს უკრაინასთან ომი არ აქვს გამოცხადებული, რადგან ამ შემთხვევაში, გაზს ვერ გაატარებს უკრაინის ტერიტორიაზე. მისი თქმით, უამრავი უცნაური ამბავი და შეთანხმება ტრიალებს ამ კონფლიქტში ჩართულ პოლიტიკურ წრეებში, რაც კადრს მიღმა რჩება და ექსპერტები მხოლოდ სტრიქონებს შორის მინიშნებებით აანალიზებენ ომის ძირითად ასპექტებს.*

**- ბატონო მამუკა, თუ შეიძლება ბუჩაში დატრიალებული ტრაგედიით დავიწყოთ საუბარი.**

- ომი საერთოდ საშინელებაა, მით უმეტეს, ასეთი ტიპის, რომელსაც გარკვეულწილად, სამოქალაქო ომის ხასიათი აქვს. ორი მოძმე ერის ბრძოლაში, მსგავს სისასტიკეს არავინ ელოდა. ამაზრზენია ეს ყველაფერი და არ აქვს არანაირი ახსნა, გამართლებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. რაც უნდა უარყონ ეს დანაშაული რუსებმა, არავინ დაიჯერებს. ფაქტია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ასე ფორმატში გაგრძელდება, სამწუხაროდ, მას დასასრული არ უჩანს.

**- როგორ შეაფასებთ სტამბოლის მოლაპარაკებებს, რომლის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე მოქმედებები დაიწყო ორივე მხარემ?**

- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არის მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის. ძალიან კარგად იციან მხარეებმა, იმ ძირითად საკითხებზე, ორივეს რომ აწუხებს, ვერაფრით შეთანხმდებიან. არ დათანხმდება რუსეთი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და არც უკრაინა წავა ტერიტორიების დათმობაზე. აქედან გამომდინარე, დასავლეთისთვის და მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, მნიშვნელოვანია მოლაპარაკება მიმდინარეობდეს და მიმდინარეობს კიდევაც, თუმცა რეალური შედეგების მიღების არავის სჯერა.

> *აქამდე მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ბრძოლა, რუსები გზებზე გასვლით იბრძოდნენ, უკრაინელები კი პატარ-პატარა, ლოკალური დარტყმებით აფერხებდნენ რუსების წინსვლას. მსგავსი ტაქტიკა, რომელიც პარტიზანულ ომს ჰგავს, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ამ ვითარებაში, მით უმეტეს, ორიენტაციადაკარგული მოწინააღმდეგის მიმართ, რომელსაც ეტყობა, სირიაში ჰგონია თავი. შესაბამისად, პრიორიტეტს ის არმია მოიპოვებს, რომელიც უფრო ეფექტურად და მოტივირებულად იბრძვის, ანუ უკრაინელების*

**- როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი ტიპის მოლარაკებები?**

- მანამ, სანამ რომელიმე მხარე არ მოიპოვებს სამხედრო უპირატესობას. დღესდღეობით, ერთი მხარე ვერ იგებს, მეორე - არ აგებს, ეს არის მოცემულობა, ფორმულა.

**- ზელენსკის უკვე აუმხედრდნენ უკრაინის „ნაციონალისტები,“ დააბრალეს ღალატი, რომ გაყიდა საკუთარი არმია.**

- „გაყიდვა“ მძიმე ნათქვამია, მაგრამ ისიც ფაქტია, სამხედროებს შორისაც არის უკმაყოფილება. ზელენსკიმ იცის, რა ტიპის კულუარული შეთანხმებები აქვს დასავლელ პარტნიორებთან, რასაც ბუნებრივია, „ნაციონალისტებს“, ჯარს და მოსახლეობას არ ეუბნება. სავარაუდოდ, იქ არის ძალიან რთული დათქმები, რისი შედეგიცაა ის, რაც დღეს ხდება უკრაინაში. გარკვეული გარანტიების გარეშე, ზელენსკი წინააღმდეგობის გაწევის უფლებას თავს ვერ მისცემდა. არა აქვს უკრაინას ისეთი სამხედრო პოტენციალი, რომ დიდხანს გაეძლო რუსეთისთვის. ე.ი. რაღაცაში გაიცვალა, რაც ზელენსკიმ იცის და... დუმს. რაც შეეხება „ნაციონალისტების“ და სამხედროების ნაწილის პოზიციას, ვფიქრობ, ეს არის პოლიტიკოსებისთვის დამახასიათებელი კაპრიზული მიდგომა, რითაც ხაზს უსვამენ საკუთარი არსებობის მნიშვნელობას, თორემ იგივე „ნაციონალისტები“ ან სხვა რომ მიუშვა, ვერ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მდგომარეობას რადიკალურად შეცვლის.

**- ზელენსკი არათუ დათანხმდა რუსეთის მიერ საწყის ეტაპზე წაყენებულ ულტიმატუმს, არამედ შესთავაზა, „გაყინონ“ რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის სტატუსი 15**



**წლით, სამხედრო მოქმედებები კი მაინც გრძელდება...**

- ეს ყველაფერი ნათქვამია - ნათქვამისთვის. ამით ზელენსკიმ მოლაპარაკებებში მონაწილეობის დემონსტრირება მოახდინა, თორემ ძალიან კარგად იციან მხარეებმა, რომ არც ერთი არ წავა დათმობაზე, როგორც კი ზელენსკი ტერიტორიის მისხალსაც დათმობს, უკრაინელთა უკმაყოფილება და აჯანყება მაშინ ნახეთ. მოლაპარაკებების პროცესი მხოლოდ მანევრირება და პოლიტიკურ პროცესებში მოქნილი ხაზის გატარების მცდელობაა.

**- ექსპერტების დიდი ნაწილი ელოდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო შებრძოლებას დონეცკში, საითაც ორივე მხარის საუკეთესო საჯარისო ნაწილები მიემართება. აქვე ისიც ითქვა, რომ ამ ბრძოლის ბედი წინასწარ არის ცნობილი, რადგან იგებს ის, ვინც ცაშია გაბატონებული.**

- რაც შეეხება რუსეთის მიერ ცაზე ერთპიროვნულ გაბატონებას, ვერ დაგეთანხმებით. უკრაინას მაღალტექნოლოგიური შესაბამისი ქარხნები გააჩნია, სადაც ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა შეუძლია, თუკი შემოაკლდება. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო რუსეთმა ცის ტოტალურად გაკონტროლება.

**- ეს ქარხნები ხომ უკვე განადგურდა?**

- ყველა - არა. თანაც, დაბომბვის შესახებ რომ ვისმენთ ინფორმაციას, მაინცდამაინც ბომბდამშენი ავიაცია აქ არ იგულისხმება, ძირითადად, სარაკეტო თავდასხმები ხდება კონკრეტული ობიექტების განადგურების მიზნით. უკრაინელები ახლა რაკეტების დეფიციტს უჩივიან, თორემ სასროლი დანადგარები აქვთ. ამიტომაც, მტრის მოგერიებას მეტ-ნაკლებად ახერხებენ იმის მიუხედავად, რომ პრაქტიკულად, ამდენი ქალაქი დაინგრათ. ნათლად ჩანს, რომ რუსებმა სწორედ ამის გამო ვერ მიაღწიეს სტრატეგიულ უპირატესობას. იმიტომ გადაიტანეს აქცენტი დონეცკი-ლუგანსკის, ხერსონის და ა.შ. ბრძოლებზე, ანუ აღმოსავლეთიდან სამხრეთი იბომბება. რაც შეეხება დონეცკში ძალების მობილიზაციას, აქამდე მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ბრძოლა, რუსები გზებზე გასვლით იბრძოდნენ, უკრაინელები კი პატარ-პატარა, ლოკალური დარტყმებით აფერხებდნენ რუსების წინსვლას. მსგავსი ტაქტიკა, რომელიც პარტიზანულ ომს ჰგავს, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ამ ვითარებაში, მით უმეტეს, ორიენტაციადაკარგული მოწინააღმდეგის მიმართ, რომელსაც ეტყობა, სირიაში ჰგონია თავი. შესაბამისად, პრიორიტეტს ის არმია მოიპოვებს, რომელიც უფრო ეფექტურად და მოტივირებულად იბრძვის, ანუ უკრაინელების. ახლა ორივე მხარე დონეცკში მიემართება, ფრონტალური ბრძოლებისთვის აშკარა მზადება მიმდინარეობს. ელოდებიან დიდმასშტაბიან, ე.წ. სასანგრო ომს, რომლის დროსაც არტილერიას, ავიაციას და მეომართა სულისკვეთებას ენიჭება პრიორიტეტი.

**- ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აწყობს ომის ამ ეტაპზე დასრულება, როგორც ჩანს, აწვდის იარაღს ზელენსკის.**

- აწვდის, რასაკვირველია, მაგრამ ეს იარაღი შეტევითი არ არის, თავდასაცავია. ამერიკის და დიდი ბრიტანეთის მიერ მიწოდებული „ჯაველინებით“ და სხვა იარაღით, სერიოზულად განადგურდა რუსეთის ჯავშანტექნიკა. ზელენსკის, ცხადია, იმედი აქვს, რომ სათანადო იარაღს მიაწვდიან.

**- რა არის დასავლელი პარტნიორების ძირითადი ამოცანა?**

- მათი ძირითადი ამოცანა რუსეთის ეკონომიკის დანგრევა, მისი მაქსიმალური დასუსტება, დაშლა კი არა, დასუსტებაა და ამას შეეწირება თუ არა უკრაინა, ეს მეორე საკითხია.

**- ევროპის ქვეყნები უკვე გამოთქვამენ საკუთარი სანქციებითვე გამოწვეული გაძვირებების გამო პრეტენზიას.**

- რაც უფრო გაიწელება დრო, უფრო გართულდება ცხოვრება. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ უკრაინაში ომის გამო, მსოფლიო მასობრივი შიმშილისა და სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე დგას. მისივე თქმით, თუ ომი კიდევ გაგრძელდა, მსოფლიოში, დაახლოებით მილიარდ ორასი მილიონი ადამიანი დაიღუპება შიმშილისგან.

**- თუკი ეს იციან, რატომ არაფერს აკეთებენ ომის შეწყვეტისთვის, პირიქით, აქეზებენ უკრაინელებს?**

- მოდით, ასე ვთქვათ, ვინც ამ ომის უკან რეალურად დგას, საკუთარ ამოცანას იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რა დაძაბულობაც უნდა შეიმჩნეოდეს დასავლეთსა თუ რუსეთში, მაინც ბოლომდე წასვლას ირჩევს. არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, ძალიან სერიოზული საპროტესტო ტალღა უნდა აგორდეს დასავლეთში. ჯერჯერობით, გლობალური საზოგადოებრივი შეკვეთა არ ჩანს, უფრო საშუალო და მსხვილი კომპანიები აყენებენ პრეტენზიებს, მათ შორის, ბენზინის გაძვირების შესახებ, რომლის დარეგულირებასაც, ალბათ, მოახერხებენ.

**- საქართველოს ტერიტორიაზე „შავი ხვრელის“ არსებობაზე რას გვეტყვით, რომლის მეშვეობითაც თურმე იარაღს ვატარებთ რუსეთისთვის?**

- ვის რაში სჭირდება ჩვენგან მიწოდებული იარაღი და საერთოდ, რაიმე? ვიღაცამ ჩაიყარა მიკროჩიპები ჯიბეში და გაიტანა საზღვარზე. პირადად ჩემთვის, სერიოზული მტკიცებულებების გარეშე, ამ ბრალდებას არავითარი დატვირთვა არ გააჩნია და თუ ვინმემ რეალურად გაიტანა ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, რომლის გამოყენება იარაღის დამზადებაშია შესაძლებელი, ნიშნავს შეგნებულ პროვოკაციას ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით.

**- ვის მოიაზრებთ პროვოკატორის როლში?**

- ან რუსეთს ან სხვას, ვერ გეტყვით, იმიტომ რომ საქართველოს არ ჰყავს იარაღის კომპონენტების მწარმოებელი სამეზობლო, რომელსაც სჭირდება ჩვენს ტერიტორიაზე კორიდორი ადგილზე ჩასატანად. ამ მიკროჩიპებს რუსეთი ღებულობდა ჩინეთიდან, ინდოჩინეთიდან, ტაილანდიდან და ა.შ. ისევ იქიდან უფრო მარტივი არ არის ავიაციით თუ სახმელეთო გზით ამის შეტანა, ვიდრე საქართველოდან თრევა? ვინმემ ტაილანდის წარმოების მიკროჩიპების საქართველოს გზით გატანა მოისურვაო, ეს სუფთა წყლის პროვოკაციაა.

**- ჩინეთი თითქოს ჩუმად არის, მაგრამ რუსეთს რომ უჭერს მხარს, ნათელია.**

- უჭერს მხარს, რასაკვირველია, რადგან კარგად იციან პეკინში, რომ ეს ომი მიმდინარეობს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთსა და დასავლეთს შორის. მხარეების დასუსტება კი ჩინეთის ინტერესებშია.

**- აქ რუსეთსაც გულისხმობთ?**

- რა თქმა უნდა, თუ რუსეთი დამარცხდება, არც ამაზე დაწყდება ჩინეთს გული, რადგან მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიები, დასუსტებული რუსეთი კი უფრო იოლად დათმობს მიწებს. ამ საკითხზე ნერჩინსკში, ჯერ კიდევ 1689 წელს დაიდო პირველი ისტორიული ხელშეკრულება რუსეთსა და ჩინეთს შორის, რომლის მიხედვით, გავლებული საზღვრები, ჩინეთისთვის წამგებიანია და სურს - გადაიხედოს. როგორც პეკინი თვლის, რუსეთმა ისარგებლა მაშინ ჩინეთის სისუსტით, მოატყუა და ა.შ.

**- ამის მიუხედავად, ჩინეთი გვერდით უდგას რუსეთს...**

- ეს არ დევს პეკინის მიერ წარმოებულ პოლიტიკაში, თუმცა პრეტენზიები რომ არსებობს, ცხადია. როგორც დღემდე იაპონელები ვერ თანხმდებიან კურილიის კუნძულების დათმობას, ისევე ჩინელებიც ამ ხელშეკრულების პირობებს არ ეთანხმებიან, რუსეთის დასუსტების შემთხვევაში კი თამამად წამოაყენებენ საკითხს. კი უჭერენ ახლა მხარს მოსკოვს, მაგრამ ეს უფრო პოლიტიკური დემარშია, ვიდრე რეალური სურვილი.

**- რამდენად შეძლებს რუსეთი ჩინეთთან ერთად, დოლარის ბატონობის შერყევას?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, თავისუფლად შეძლებს მოკლევადიან პერსპექტივაში, იქნებ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიოს რუბლით ვაჭრობაზე, მაგრამ დოლარი იმდენად ფესვგადგმული, დომინანტური ვალუტაა, რომ მხოლოდ რუსეთი ვერაფერს დააკლებს. ჩინეთის მხარდაჭერა აქაც შეზღუდულია. პეკინს ხელს აძლევს, მაგალითად, რუსეთთან ვაჭრობის იენზე გადაყვანა, მაგრამ დანარჩენი მსოფლიოსთვის იგივეს არ ცდილობს.

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მთელი სარეზერვო ფონდი ინახება ამერიკაში, რაც ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეცდომაა. იმიტომ გაეყინა 600 მილიარდი დოლარი რუსეთს, მაგრამ გამოსავალს გარკვეულწილად პოულობს. ყველა დეფოლტს ელოდა, მაგრამ მოსკოვი მაინც ახერხებს ვალის გადახდას.

აქ პარალელურად, ფინანსურ ფრონტზეც მიმდინარეობს სერიოზული ომი, რომელსაც რუსეთი, ჯერჯერობით, არ აგებს, უკან იხევს, მაგრამ დამარცხებული არ ჰქვია. სავარაუდოდ, დიდხანს ვერ გაძლებს, რადგან ეკონომიკურად ისედაც ვერ იყო მყარად. რუსეთის ეკონომიკა დგას ნედლეულის გაყიდვაზე. მართალია, მხოლოდ რამდენიმე სახეობის პროდუქტის ძირითადი ექსპორტიორია მსოფლიოში, მაგრამ ამ მოცემულობასაც სათანადოდ ვერ იყენებს. ავიღოთ, მაგალითად, ნეონის გაზი, რომლის საერთო წარმოების 50% - იანი წილი აქვს. ძალიან დიდი პროცენტი იყო უკრაინის ხელში. მარიუპოლში მზადდებოდა ზუსტად ეს გაზი, რომელიც ძალიან სჭირდება დასავლეთის ეკონომიკას. ახლა ის ქარხანა განადგურებულია და რუსეთს უფრო მომგებიანი პოზიცია აქვს, თუმცა ვერც აქ იხეირა. ხელოვნური საფირონებიც მისია, რომლის მეშვეობითაც „აიფონები“ კეთდება. ასევე, წარმოებისთვის შეუცვლელი პროდუქტის - პალადიუმის და ტიტანის მთავარი საბადოები რუსეთშია.

მოკლედ რომ მოვხაზოთ, ზოგიერთ შემთხვევაში, კრემლი უცნაურად იქცევა, თუნდაც ამ პროდუქციის დასავლეთისთვის მიწოდებით. ანუ, რაც ტელეეკრანებზე ხდება, ისე არ არის საქმე რეალურად. ერთ პარადოქსულ სიტუაციასაც გეტყვით, რუსეთსა და უკრაინას შორის ომი არ არის გამოცხადებული, ისინი ე.წ. სამხედრო ოპერაციის რეჟიმში მოქმედებენ, საპირისპირო შემთხვევაში, გაზის ტრანსპორტირება უკრაინის ტერიტორიაზე, უნდა შეწყდეს.

# „ტერიტორიები კი არა, საკუთარი მოძმე ერები გვყავს დასაბრუნებელი, იარაღი ვერ გადაწყვეტს კონფლიქტს“

ხატია იაშვილი 591 98 24 26

*ბათუმის თვითმმართველობის შუალედური არჩევნებზე, რადიკალური ოპოზიციის არაადეკვატურ ბრალდებებსა და უკრაინის დახმარებაზე გვესაუბრება აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი* ***დავით ბაციკაძე****. ის თვლის, რომ მოსახლეობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ბათუმისა და რუსთავის ოლქებში „ქართული ოცნების“ კანდიდატებს დაუჭირა მხარი და ამით ხელისუფლების მიერ გატარებული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა გაამართლა.*



**- გილოცავთ, ბატონო დავით - შუალედურ არჩევნებში თქვენმა კანდიდატმა გაიმარჯვა იმ ოლქში, სადაც თავის დროზე ოპოზიციის კანდიდატს მისცეს ხმა.**

- თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი ამ გამარჯვებაში, ისევე როგორც ჩემი გუნდის ყველა წევრი, რადგან ვიცოდით მოსახლეობის განწყობა.

**- თქვენ თვლით, რომ ბათუმელთა უმეტესობა გიჭერთ მხარს?**

- არ ვამტკიცებ, რომ ეს არის აბსოლუტური უმრავლესობა, რადგან გვაქვს სხვადასხვა ხარვეზი, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ არ გავურბივართ პრობლემებზე საუბარს - იმაზე, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ არ გამოგვდის და არც იმას ვივიწყებთ, რაც გასაკეთებელია. საზოგადოება ჩვენს გაკეთებულსაც კარგად ხედავს და იცის, რის მიღწევას ვცდილობთ. სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო, შესაძლოა, ეკონომიკა ვერ ვითარდება სათანადო ტემპებით, მაგრამ მთავრობა ყველაფერს აკეთებს ადამიანების დასახმარებლად იმ მწირი ბიუჯეტით, რაც გაგვაჩნია. ისიც სათქმელია, რომ არავის ვჩაგრავთ, არ ვახორციელებთ ზეწოლას არავის პოლიტიკურ თუ სხვაგვარ შეხედულებებზე, ვიცავთ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას.

**- სწორედ ადამიანის უფლებების შეზღუდვასა და სხვა დარღვევებზე საუბრობს ოპოზიცია.**

- იმათ იმაზე ილაპარაკონ, რაც 2012 წლამდე ხდებოდა, ახლა სულ სხვა სიტუაციაა - არავინ ზღუდავს თავისუფალ სიტყვას და დემოკრატიას. შესაძლოა, ყველაფერს ზედმიწევნით კარგად ვერ ვაკეთებთ, მაგრამ გულზე ხელები რომ არ გვაქვს დაწყობილი და ვმოძრაობთ, ესეც ჩანს.

**- რას გულისხმობთ?**

- ნებისმიერი კრიზისის დროს მაქსიმალურს ვაკეთებთ მოსახლეობისთვის, ყოველთვის მობილიზებულები ვართ და არასოდეს ვდგამთ დაუფიქრებელ, ამბიციებით ნაკარნახევ ნაბიჯებს, რაც ქვეყანას დააზარალებს. ყველაფერი ეს ერთად გააანალიზა ჩვენმა მოსახლეობამ ამ არჩევნებზეც, მით უმეტეს, რომ მსოფლიოს თვალწინ დატრიალდა ტრაგედია უკრაინაში, ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში. ისიც დაინახეს, საითკენ ექაჩებოდა ის პარტია, რომლის კანდიდატიც იყო რამაზ ჯინჭარაძის კონკურენტი და ძალიან იოლად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაკეთდა არჩევანი. ამ შემთხვევაში ომმა კატალიზატორის როლი შეასრულა და მკვეთრად გამოჩნდა, ვინ რისი გამკეთებელი იყო.

**- თქვენ პარალელს ავლებთ ქვეყანაში მიმდინარე შიდა და გარე პოლიტიკურ პროცესებს შორის?**

- ჩვენს შემთხვევაში შიდა და გარე პოლიტიკა იმდენად გადაიხლართა ერთმანეთში, რომ ყველა აღმოვჩნდით ომის დაწყების საფრთხის წინაშე. რადიკალურმა ოპოზიციამ ხელზე დაიხვია ჩვენი პარტნიორი ქვეყნის უბედურება და შიდა მოხმარებისთვის დაიწყო ამ ტრაგიკული მოვლენების გამოყენება. ვხედავთ, როგორც იქცევიან, ისიც გვახსოვს, როგორ იქცეოდნენ 2008 წლის ომში, როგორ მიატოვეს ჩვენი ჯარისკაცები რუსის არმიის პირისპირ, ასე არიან მიჩვეულები. თავის დროზე, ჯერ კიდევ 2003 წელს, გამოაცალეს სკამი შევარდნაძის ძირმომპალ ხელისუფლებას, დაიხმარეს გამოცდილი პოლიტიკოსები, მოიპოვეს ხალხის ნდობა, შემდეგ კი გაბატონდნენ, მოიცილეს გვერდით მყოფი ადამიანები და დიქტატურა დაამყარეს. დაიწყეს ბიზნესის დატერორება, უდანაშაულო მოსახლეობის ციხეში ჩასმა და იქ წამების მექანიზმების შემუშავება, რათა აზრად არავის მოსვლოდა, მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ხალხი ამას ხედავს, არავის არაფერი ავიწყდება. შესაძლოა, 18-19 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც იმ დროს პატარები იყვნენ, არ ახსოვდეთ, რა საშინელება ტრიალებდა, მაგრამ ხალხმა ხომ იცის, ვისთან აქვს საქმე?! „ნაციონალები“ მზად არიან ნანგრევებად აქციონ ქვეყანა, ოღონდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ.

**- თქვენ თვლით, რომ სწორედ ამიტომ გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი დიდი განსხვავებით?**

- დიახ, სწორედ ამან გამოიწვია შუალედური არჩევნების მოგება როგორც ბათუმში, ისე რუსთავში. სხვათა შორის, არც „ნაციონალებს“ და არც სხვა პარტიას რუსთავში კანდიდატი არ ჰყოლია, ოთხი დამოუკიდებელი პირი იყრიდა კენჭს, რომლებმაც ხმების საერთო რაოდენობის 10 პროცენტი მოაგროვეს. ცხადია, ჩვენს კანდიდატს გამარჯვება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ სხვა რამეს ვამბობ - 35 ათასი ხმა მიიღო „ქართულმა ოცნებამ“! ამდენი ხმა არ მოუგროვებია რუსთავში არც თვითმმართველობის და არც საპარლამენტო არჩევნებზე.

**- ალბათ შეშინდნენ...**

- რა თქმა უნდა. მიხვდნენ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან მიტმასნილი პარტიები ქვეყანას ომის უფსკრულისკენ მიაქანებდნენ. „ომის პარტიას“ ეძახიან უკვე, თუმცა რანი არიან და როგორ იბრძვიან, ვნახეთ უკვე და ვიღას აქვს მათი იმედი. იგივე მოხდა ბათუმშიც, 40-პროცენტიანი კლება ჰქონდათ, 2000 ხმაზე ნაკლები მიიღეს, ვიდრე წინა ტურში.

**- ამას ხომ მოსყიდვებით და საჯარო რეესტრის მიერ ჩაწერილი ადამიანებით ხსნიან?**

- ისაა საქმე, რომ ვერც ამით ხსნიან, მოიგონეს ათასი სისულელე, თითქოს ვილაცები ჩავწერეთ, არადა, საჯარო რეესტრში იმაზე გაცილებით ნაკლები ჩაეწერა, ვიდრე ანალოგიურ პერიოდში, თანაც გონიო-ადლიაში, აეროპორტის მიდამოებში კორპუსები შენდება. იცით, რა მასშტაბების მშენებლობებიც მიმდინარეობს და ჩაეწერება კაცი საკუთარ ბინაში, აბა, რას იზამს? თანაც ათას კაცზე საუბრობდნენ. რომ გადავამოწმეთ, 400-იც არ აღმოჩნდა. არც გაგვკვირვებია, რადგან ყველაზე დიდი მატებაა ამ რაიონში.

**- ისინი ამბობენ, „მუყაოს ქალაქში“ აშენებულ კორპუსში დროზე ადრე ჩაწერეს მობინადრეებიო.**

- მათთვის აშენდა ეს კორპუსი და არ უნდა ჩაწერილიყვნენ? კარგი, დავუშვათ, დავუჯეროთ და მართალი აღმოჩნდნენ, ისიც ვთქვათ, რომ 400 კი არა, ათასი იყო, თანაც ათასივე ჩვენ გვაძლევდა ხმას (ეს როგორ დაადგინეს, არ ვიცი), მაგრამ ოთხი ათასი ხმით მოვუგეთ, რა გამოდის, სამი ათასი ხმა საიდან მოვიდა? თავადაც კარგად იციან, რატომაც წააგეს, მაგრამ ხმამაღლა ხომ ვერ გააჟღერებენ. ეს არჩევნებია მათი რეიტინგის ზუსტი მაჩვენებელი. ყველას ამოუვიდა ყელში მათი გამოხდომები, არაადეკვატური განცხადებები, დაუსრულებელი ბოიკოტები და პროტესტები. დაიღალა ხალხი მათგან და მათი ამბიციებისგან, მოკლევადიანი პოპულისტური განცხადებებისგან, ყველაფერს ებღაუჭებიან, ოღონდაც წყალი აამღვრიონ და იქ თევზი დაიჭირონ.

**- ბატონო დავით, თევზის დაჭერის მცდელობას არ ჰგავს ომში ჩათრევის აშკარა მოწოდებები.**

- მათ არ აინტერესებთ არც საქართველო და არც ქართველები. ხელისუფლებაში მოსვლა და ომის დაწყებაა მათი მთავარი მიზანი.

**- დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლა რაში სჭირდებათ?**

- როგორ თუ რაში?! მოხვეტავდნენ ყველაფერს და გაიქცეოდნენ, ქვეყანას კი რუსის ჯარს შეატოვებდნენ. გვახსოვს, 2008 წელს რამდენი დეპუტატი, მინისტრი თუ მაღალჩინოსანი გადაიპარა საზღვარზე, დანარჩენები კი იდგნენ სარფის საბაჟოსთან რიგში. უბედურება კიდევ რაა, იცით? ნიკანორ მელია, რომელიც მათი გენერალური მდივანია და დღეს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, ბათუმში იყო ჩამოსული და გარეთ სასეირნოდაც არ გამოსულა. რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. იყო აქ და არჩევნებზეც არავის უნახავს მისული.

**- „ოცნებას“ რუსულ ძალად მოიაზრებენ, ამის გამო ზელენსკიმ ელჩიც კი გაიწვია.**

- ყველამ იცის, ეს ამბავი ვინ და რა მიზნით ჩააწოდა ზელენსკის. კობა ნაყოფია მოიკითხონ, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს და რუსეთში არსებული ბიზნესი საკუთარ შვილზე გადააფორმა. ახლა აქეთ ბიძინა ივანიშვილს ეძახიან პრორუსულ ძალას, რომელსაც ერთი აქტივიც არ აქვს იქ, ყველაფერი დასავლეთში გადმოიტანა. ესეც კარგად იცის საზოგადოებამ, არავისზე უარესი ერი არ ვართ და არავისზე უკეთესი, მაგრამ პოლიტიკურად აზროვნება და შედარების გაკეთება შეგვიძლია. უძველესი საუკუნეებიდან მოვდივართ, უძველესი ცივილიზაციის მატარებელი ხალხი ვართ და კარგად ვიცით, როდის რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი.

**- მაინც რომ დაგვარტყას რუსეთმა?**

- არც ესაა გამორიცხული, ისეთი დაუჯერებელი ამბები ხდება სამყაროში, რომ ყველაფერი დასაშვებია. თუკი პუტინის ავადმყოფ გონებაში მოიხარშება საქართველოში შემოჭრის გადაწყვეტილება, მზად უნდა დავხვდეთ. პარტნიორ ქვეყნებთან ერთად განვიხილავთ კიდეც ასეთ ვარიანტს, მაგრამ, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, აფიშირებას არ ვაკეთებთ, წივილ-კივილს არ ვტეხთ, გარეგნულ სიმშვიდეს ვინარჩუნებთ, სტაბილურად მივდივართ ევროკავშირისკენ და, ვფიქრობ, ეს ყველაფერი მალე გამოიღებს შედეგს - გავხდებით ევროპის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. იქნებ ისე მალე არ მოხდეს ეს, როგორც გვინდა, მუშაობაა საჭირო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

**- ოპოზიცია სიმხდალედ მიიჩნევს მთავრობის სიფრთხილეს...**

- ეს არ არის არც სიმხდალე და არც სიფრთხილე, მთავრობის მიერ გადაგმული ნაბიჯი გონიერებაზე მიუთითებს. სიმხდალე და შიში სწორედ ჩვენს ოპონენტებში ვნახეთ, როდესაც ბუჩქებ-ბუჩქებ გამორბოდნენ ბრძოლის ველიდან და ტერიტორიები შეატოვეს რუსეთს.

**- ოსეთსა და აფხაზეთზე რას გვეტყვით?**

- ეს ჩვენი ტკივილია, მაგრამ ამ ეტაპზე ვერაფერს ვიზამთ. „ნაციონალებს“ რომ მოვუსმინოთ, ავტომატები უნდა ავიღოთ ხელში და გავემართოთ ჩვენი ძმების დასახოცად. ეს არის შერიგება და შეერთება? იგივე გავიმეოროთ, რაც რუსებმა გააკეთეს დონეცკის, ლუგანსკის და ყირიმის „გათავისუფლებისთვის“?!

**- რა გამოსავალს ხედავთ?**

- ერთადერთი გზა გვაქვს - მშვიდობიანი გზით დავიბრუნოთ ჩვენი მოძმე ერები. ძალიან მომწონს კვიპროსის მოდელი, ვგულისხმობ საბერძნეთის და თურქეთის კვიპროსს, რომლის ერთი მხარე ევროკავშირის წევრია და სარგებლობს ყველა იმ კომფორტული შეღავათებით, იმ თავისუფლებით და მოქნილი პოლიტიკით, რასაც დასავლეთი აწარმოებს. ნამყოფი ვარ ორივე მხარეს და კარგად ვიცი, იქ რა ხდება, უმრავლესობას უნდა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ევროპასთან შეერთება. იქ რაღაც ბარიერები არსებობს, რომლებიც ამას აფერხებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე კვიპროსი გაერთიანდება. დაინახეს კვიპროსელებმა, რომ დემოკრატიასა და განათლებულ, ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრება უკეთესია, ვიდრე სიბნელის, ჩამორჩენილობისა და უვიცობის ზეიმის თანამონაწილეობა.

**- იმედი გაქვთ, თუკი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდებით, აფხაზები და ოსები ჩვენთან შემოერთებას მოისურვებენ?**

- რა თქმა უნდა, ევროპას აირჩევს ყველა. აფხაზეთს ახლაც არ სურს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, რადგან კარგად ხედავს, რაც ელის იქ. ისიც ფაქტია, რომ ევროპაამერიკის მიერ დაწესებული სანქციები საბოლოოდ თუ არ დაშლის, მთლიანად მოშლის რუსეთის ეკონომიკას და ამ „რესპუბლიკებისთვის“ კი არა, საკუთარი მოსახლეობისთვის ვეღარ ივარგებს. აქედან გამომდინარე, როდესაც არჩევანი ექნებათ ოსებს ბნელ, პუტინის რუსეთსა და ევროპული ღირებულებებით მცხოვრებ საქართველოს შორის, ჩვენს სასარგებლოდ გააკეთებენ არჩევანს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავათვიცნობიეროთ, რომ ტერიტორიები კი არა, საკუთარი მოძმე ერები გვყავს დასაბრუნებელი. იარაღი ვერ გადაწყვეტს კონფლიქტს, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით, თანადგომით და თავისუფალი არჩევანის შეთავაზებით დაგვიბრუნდებიან ოსებიც და აფხაზებიც. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი და ყველაზე ძლიერი ბერკეტი. მაგალითად მოჰყავთ ისტორიული ფაქტები, ამტკიცებენ, რომ მხოლოდ იარაღით შევძლებთ დაკარგულის დაბრუნებას, მაგრამ იმას თუ უყურებენ, რას აკეთებს იარაღი? მიუღებელია, რაც თავის დროზე რუსეთმა ჩაიდინა - ასი ათასობით მოქალაქე გამოყარა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. რამდენი დახოცა და დაასახიჩრა? მას შემდეგ წელშიც ვეღარ გაიმართა ეს რეგიონები, დღემდე ვერააწყვეს ნორმალური ცხოვრება. ეს ტერიტორიები ამ ხალხთან ერთად უნდა დავიბრუნოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებით მართალნი ერისა და ბერის წინაშე. თანაც, რა ომს გაიძახიან, როდესაც 2 მილიონიღა ვართ დარჩენილი - ამ რაოდენობის არმია ჰყავს რუსეთს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ არავინ ელოდა საბჭოთა კავშირის დაშლას, მაგრამ დაინგრა, ასევე დაინგრევა რუსეთის იმპერია და სულ სხვა რეალობა დაგვიდგება. ახლა უკრაინა იბრძვის, ჩვენ ყოველმხრივ ვეხმარებით, ვგულშემატკივრობთ, საკუთარი მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, ვაგზავნით დიდი მოცულობის ჰუმანიტარულ ტვირთს, ვაბინავებთ ლტოლვილად ქცეულ უკრაინელებს. მიხარია, რომ მთელი ბათუმია ჩართული ამ პროცესში - მატერიალურად თუ მორალურად დგანან აქ მყოფი უკრაინელების გვერდით. ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველო სტუმართმასპინძლობით და არც ახლა ვუღალატებთ ტრადიციებს - ხელგაშლილი შევხვდებით, დავაპურებთ და მზრუნველობას არ მოვაკლებთ გასაჭირში აღმოჩენილ ადამიანებს.

# დიდთოვლობამ ოჯახს საფრთხე შეუქმნა

თამაზ მგზავრიძე 27 48 94



ჩანჩხალოელი შერიფ მახარაძე წლების განმავლობაში სოფლის ექთანი იყო. მეზობლები მას თავისი საქმის მცოდნე, გამრჯე მეზობლად იცნობდნენ. შერიფის მზრუნველი ხელი ოჯახსაც არ აკლდა. ორი შვილის გამზრდელმა, მეუღლე მაილე მიქელაძე-მახარაძესთან ერთად, პირადი ცხოვრება ნორმალურად მოიწყო, საციხეთის უბანში ქვითკირის სახლიც აიშენა. რამდენიმე წლის წინ მეწყერმა სახლს ბზარები გაუჩინა. გეოლოგების დასკვნის საფუძველზე, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაზარალებულ ოჯახს სახლის გამაგრებისთვის 7 ათასი ლარი გამოუყო. სამუშაოები ჩაატარეს და გულიც დაიმშვიდეს, თუმცა რამდენიმე თვის წინ შერიფი გარდაიცვალა. ობლად დარჩენილ შვილებსა და ქვრივს კიდევ ერთი სადარდებელი გაუჩნდათ - სტიქიამ ისევ შეუტია და ოჯახი საფრთხის წინაშე დააყენა. დაზარალებულები შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძემ, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ მოინახულეს.

- მდგომარეობა კრიტიკულია. ამ დღეებში გეოლოგებს მოვიწვევთ. მათი დასკვნის შესაბამისად ვიმოქმედებთ. დათვალიერებით ჩანს, რომ საცხოვრებელ სახლს გამაგრებითი სამუშაოები ვეღარ უშველის, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

# „ჩვენი თაობა ეროვნული მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენელთა იდეებითაა ნასაზრდოები“

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

*მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს ტკივილად შემორჩა 1989 წლის 9 აპრილი. მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე ათასობით სტუდენტს შორის იყო შუახეველი* ***ავთანდილ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე****. იგი იმ დღეს იხსენებს და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.*



**- ბატონო ავთანდილ, უმანკო მსხვერპლთა წმინდა სისხლი ტყუილ-უბრალოდ არ დაღვრილა. იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ... იმ მოვლენებიდან რას გაიხსენებდით?**

- სანამ გიპასუხებთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა გამოვხატო სოლიდარობა გმირი უკრაინელი ხალხის მიმართ. ვიმედოვნებ, რომ რუსი ოკუპანტები საწადელს ვერ მიაღწევენ, უკვალოდ არ ჩაივლის უკრაინელი და სხვადასხვა ქვეყნიდან წასული მოხალისე მებრძოლების გმირული თავგანწირვა. მჯერა, რომ ეს უსასტიკესი ომი დასრულდება მებრძოლი უკრაინელი ხალხის გამარჯვებით. ქედს ვიხრი დაღუპული ქართველი და უკრაინელი მეომრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინაშე. დიდება გმირებს! თავისუფლება და მშვიდობა უკრაინას და მსოფლიოს! რაც შეეხება თქვენს კითხვას: იმ პერიოდში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა მივატოვე და ვემზადებოდი სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად. ძირითადად ვიყავი თბილისში, ჩემს ძმასთან, რა თქმა უნდა, ტარიელთან ერთად ყველა აქციაზე დავდიოდი, ასე იყო 9 აპრილსაც... ჩემი აზრით, 9 აპრილი ჩვენი თაობის დიდგორი იყო, მიტინგის ყველა მონაწილე იყო გმირი. ნებისმიერი იქ მდგომი შეიძლებოდა მსხვერპლი გამხდარიყო.

9 აპრილის მოვლენების მონაწილე იყო მარეთის ხეობის სტუდენტთა უმრავლესობა. სამწუხაროდ, ყველას არ ვიცნობდი, ნაწილი შემდეგ გავიცანი. რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას: ოთარ სურმანიძე იყო თსუ-ს სტუდენტი და მაღლივი კორპუსის სტუდენტებს შორის, ერთ-ერთი ლიდერი. მან რამდენიმე თვით ადრე, თავის მეგობრებთან ერთად, ჩამოაყალიბა მაღლივი კორპუსის სტუდენტური მოძრაობა. თემურ ცეცხლაძე, რამაზ სურმანიძე, თამაზ ჩავლეიშვილი, სერგო სურმანიძე ოთართან ერთად, იყვნენ იმ ღამის პროცესების აქტიური მონაწილეები. ასევე ალიკო კეკელიძე, ჩემი ძმა ტარიელი თავის კოლეგებთან ერთად, ასევე მე და დემურ შარაშენიძე. იმ რთული წუთების აღწერა ძალიან ძნელია. იმ ჭყლეტაში ერთმანეთი დავკარგეთ... დილით უკვე ვიცოდით, რომ იყო მსხვერპლი - კოლმეურნეობის მოედანი და თაბუკაშვილის ქუჩიდან რუსთაველისკენ ასასვლელი ყველა პატარა ქუჩა გადაკეტილი იყო, იდგა რუსის ჯარი. უამრავმა ადამიანმა მოიყარა იქ თავი. იყო ინციდენტები ოკუპანტის ჯარისკაცებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის... რამდენიმე ასეთი ინციდენტი განმუხტეს ტარიელმა და მისმა მეგობარმა. შემდეგ იყო გლოვა სიონის საკათედრო ტაძარში, ტაძრის ეზოში ყვავილებით შემკული დაღუპული გმირების სურათები, საპატიო ყარაული, ხალხის უწყვეტი ნაკადი, 9 აპრილის ღამეს დაპატიმრებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების განთავისუფლება და სრულიად შეცვლილი საქართველო... მას შემდეგ თითქმის 33 წელი გავიდა და ისეთ ერთსულოვნებას, გულწრფელ თანადგომას ველარ ვხედავ. პროფესორ-მასწავლებლები და მშობლები თავიანთი სტუდენტებისა და შვილების გვერდით იდგნენ. მე ყურადღებას გავამახვილებ ჩვენი ხეობის ლექტორ-მასწავლებლებზე. კერძოდ, ბატონ ალიოშა ბაკურიძეზე (მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი), რომელთანაც სამსახურში 9 აპრილამდე და შემდეგაც, იმართებოდა ახალგაზრდების შეხვედრები. პირველი მრავალპარტიული არჩევნების (28.10.1990 წ.) წინა პერიოდში ასეთი ტიპის შეხვედრები კიდევ უფრო გააქტიურდა ფარმაცევტული ფაკულტეტის სალექციო აუდიტორიაში; ჩვენი ხეობის უკვე „სტაჟიანი“ სტუდენტები, აგრეთვე პირველკურსელები ბადრი მამულაძე, დათო ცეცხლაძე ამ შეკრებების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ, სხვებიც, ვინც „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ იყო გაერთიანებული. ამ შეკრებების მიზანი იყო ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა წინასაარჩევნო პროცესში. ერთ-ერთ შეკრებაზე, ტარიელის ინიციატივით გადაწყდა, რომ არჩევნებამდე 1 კვირით ადრე, ყველა სტუდენტი უნდა წავსულიყავით ჩვენს სოფლებში. „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო შტაბიდან წავიღეთ პლაკატები, ბროშურები, გაზეთები და, რა თქმა უნდა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, საკუთარი ხარჯებით, შუახევიდან შუბნამდე, ყველა შესაძლო ადგილას გავაკარით პლაკატები.

**- ოჯახში ოთხი ძმა გაიზარდეთ, უფროს ძმას - ტარიელს ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილეთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა...**

- ოთხი ძმა ვართ: ტარიელი, თემური, ფრიდონი და მე. ისინი 18 წლის ასაკში უკვე მშობლები იყვნენ. ძალიან რთული გზა გამოიარეს. მამა ახალგაზრდობიდან იყო პარტიული მუშაკი. მიუხედავად ამისა, მისი ეროვნული სულისკვეთება და ცხოვრების წესი ძალიან კარგად ჩანს მის ჩანაწერებში, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, ტარიელმა წიგნად გამოსცა. 1977 წელს, პირველკურსელმა ტარიელმა ჩამოგვიტანა თსუ-ს გაზეთი „უნივერსიტეტი“, სადაც ზვიადზე და მერაბზე წერდნენ. მანვე მოგვიყვა დავით გარეჯთან, იატაკქვეშა მოძრაობასთან დაკავშირებული რეალური ისტორია. მაშინ გავიგე პირველად რადიო „თავისუფლებაზეც“.

**- 9 აპრილის შემდგომმა წლებმა თქვენში რა გამოძახილი დატოვა?**

- 9 აპრილის შემდგომი წლები ჩვენი ათასწლოვანი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, პირველი მრავალპარტიული არჩევნები და ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ მოსვლა ხელისუფლების სათავეში, უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და მის საფუძველზე მიღებული 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოს ქვეყნების მიერ, გარდა რუსეთისა, რომელმაც, მალტის გარიგების (1989 წლის 2 დეკემბერი) შემდეგ, სამხედრო ძალის გამოყენებითა და ქართული ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით, დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება, მოკლა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის მკვლელობის საქმეც დღემდე გამოუძიებელია... ეროვნული მოძრაობის დაღმასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს სამართალმემკვიდრე უზენაესი საბჭოს დეპუტატების დევნა, გაორებული საზოგადოებრივი ცნობიერება (მომხდარი პუტჩი იყო თუ სამოქალაქო ომი?) და კვლავ „აწმყოს უდაბნოში“ ხეტიალი... და მაინც, წარსულის მწარე გამოცდილების საფუძველზე, დღეს ჩვენი საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისათვის ცხადია, რომ (ტარიელის სიტყვებს მოვიშველიებ) „თუ საქართველოს აქვს გადარჩენის თეორიული შანსი, ეს შანსი არის დასავლეთთან ინტეგრირება, ნატოსთან კონსოლიდირებული თანამშრომლობა. სხვა შანსი არის ჩიხი, არის რუსული ოკუპაციისკენ გზა“.

**- წუთისოფლიდან ნაადრევად წავიდნენ მამათქვენი და უფროსი ძმა ტარიელი, რომელმაც მახათას მთაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჰპოვა სასუფეველი. მამისა და ძმის ავტორიტეტს როგორ უერთგულეთ?**

- როგორც ტარიელი იტყოდა, ჩვენში საკუთრივ ჩვენი არის ძალიან ცოტა, უდიდესი წილი ჩვენი წინაპრებისაა... მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ძარღვებში მათი სისხლი ჩქეფს და მათ ველში გავიზარდე. როგორ ვუერთგულე? არ ვიცი. ალბათ, იმით, რომ ჩემს შვილებს, პატარები რომ იყვნენ, „ვეფხისტყაოსანს“ ვუკითხავდი; ამას ვაკეთებ შვილიშვილთანაც. ვიცი, რომ აუცილებლად ღირსეულად უნდა ვიცხოვროთ ძმებმა და იცხოვრონ ჩვენმა შვილებმა. მუდამ უნდა ახსოვდეთ, ვისი გორისანი არიან....

**- როგორც ექიმი-ეპიდემიოლოგი, ჩართული იყავით კოვიდთან ბრძოლაში.**

- მთელი ჩემი ცხოვრება, სადაც მიმუშავია ვცდილობდი ღირსეულად შემესრულებინა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა, პანდემიის პირველივე დღიდან ჩავერთე ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების მართვაში. ძალიან ძნელი აღმოჩნდა უხილავ მტერთან ბრძოლა. იყო შეცდომები, საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება ვირუსისადმი, ანტივაქსერების არნახული აქტივობა, ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებლები და ა.შ. ამ ყველაფერს თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. თითოეულ ჩვენთაგანს, ექიმს, არაექიმს, სხვადასხვა მხარეს მდგომ პოლიტიკოსებს, სასულიერო პირებს, მთელ საზოგადოებას ეკისრება პასუხისმგებლობა 17 000-ზე მეტ გარდაცვლილზე. რომ ყოფილიყო უფრო მეტად იმის განცდა, რომ „სხვისი ტკივილი ჩემი ტკივილიცაა“, რომ „წესები მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა დავიცვა, რომ თავი დავიცვა, არამედ იმიტომ, რომ გარშემომყოფები არ დავასნებოვნო“, უფრო მეტი ნდობა გამოგვეცხადებინა ეპიდემიოლოგებისთვის და ა.შ. მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა... ეს ქვეყანა ჩვენია და ყველამ გულწრფელად უნდა დავდოთ თითო აგური მის ასაშენებლად.

**- რაა მთავარი, რომ შვილებს, შვილიშვილებს, დალაგებული ცხოვრება და დამშვიდებული ქვეყანა დავუტოვოთ?**

- ძალიან რთული კითხვაა. ალბათ, ასეთი რამ არ ხდება ბუნებაში, ყველა თაობას თავისი საბრძოლო და საკეთებელი აქვს; იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, რომ შვილებს უზრუნველყოფილი მომავალი შევუქმნათ, არამედ იმაზე, რომ საფუძვლიანი განათლება მივცეთ, რათა სწორი არჩევანის გაკეთება შეეძლოთ. ჩვენმა თაობამ ვერ შეძლო პოსტსაბჭოური სივრცის ბოლომდე გარღვევა, ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა დე იურე, მაგრამ დე ფაქტო ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ განვკარგავთ: ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები, სადაც არ ფუნქციონირებს ჩვენი სახელმწიფო ენა. მაგრამ ჩვენი თაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ეროვნული მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენელთა იდეებით არის ნასაზრდოები, ინახავს თავისუფლების იდეას. იმედს ვიტოვებ, რომ სწორი ორიენტაციით აღზრდილი მომავალი თაობა, შეძლებს ბრძოლის გაგრძელებას და გამარჯვებას.

**- ცნობილ ქართველოლოგს, ეროვნული მოძრაობის მებაირახტრეს ტარიელ ფუტკარაძეს მარეთის ხეობის წარსული დიდების გამოსამზეურებლად მრავალი წამოწყება და ჩანაფიქრი ჰქონდა.**

- დაარსდა ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება, რომლის მიზანია ტარიელის ყველა წამოწყების გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა. ამას, პირველ რიგში, მისი მეუღლე და შვილები, მისი მოწაფეები და ოჯახის წევრები გავაკეთებთ... მარეთის ხეობაში ტარიელის ბოლო კვლევა თანასოფლელებისთვის თავდადებული კუტი ქალის ლეგენდის გაცოცხლებას მიეძღვნა, რაც 2020 წლის 12 აგვისტოს კუნტიჯვარზე ჯვრის აღმართვით დასრულდა. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული მარეთის ხეობის ყველა სოფელი. ტარიელის ინიციატივით, იქვე გადაწყდა, რომ ყოველი წლის 12 აგვისტოს აღინიშნოს დიდგორობა კუნტიჯვარზე. 12 აგვისტო ახლა ტარიელის ხსოვნის დღედაც იქცა.

**- მარეთული კერა - „საფუტკრეთი“ კეთილმოაწყვეთ, რამდენიმე ღონისძიება გამართეთ. ამ წამოწყების სათავეში ვინ დგას?**

- სათავეში, რა თქმა უნდა, ისევ ტარიელ ფუტკარაძე დგას თავისი გაკეთებული საქმეებით. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც ხედავენ ქვეყნის ისტორიისთვის, მომავლისთვის თავდადებული ადამიანების ღვაწლს და აცნობენ მომავალ თაობებს მათ ნაღვაწს. მადლობა ყველას. ჩვენ - ტარიელის ოჯახის წევრები, ულამაზეს „საფუტკრეთს“ ვთავაზობთ ყველა ორგანიზაციას თუ ჯგუფს პატრიოტული და ეროვნული ღონისძიებების გასამართად, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ. ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, დავეხმარებით ღონისძიებების ორგანიზებაშიც. აქ, ბუნებრივია, ახლად შექმნილი ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციაც ჩაატარებს სემინარებს თუ სხვადასხვა ღონისძიებას.

**- დაბოლოს: 9 აპრილს სად და რა ვითარებაში ხვდებით?**

- აქამდე ყოველთვის თბილისში, რუსთაველზე ვხვდებოდი, მთავრობის სახლის წინ. წელს პირველად ბათუმში, 9 აპრილის ხეივანში შევხვდებით და აუცილებლად გავალ ჩაქვში ჩემი მეგობრის - ოთარ სურმანიძის საფლავზე. ის ახალგაზრდული ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა და 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას...

# გზის ნაწილი მეწყერს მიაქვს

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

5,5 კილომეტრითაა მოშორებული დაბა შუახევის ცენტრს სოფელი სხეფი, კიდევ უფრო შორი დასახლებაა თერნალი. ამ სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზის 4-კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტია დაგებული. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით, წელს 750 კუბური მეტრი ბეტონი დაიხარჯება ღორექეთი-სხეფის გზაზე. რიგ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებას თერნალში მისასვლელ გზაზეც აპირებენ.

შემოდგომის უხვმა ნალექმა, მკაცრმა ზამთარმა, სხეფშიც ცუდი კვალი დატოვა. სოფლის ცენტრში 20-მეტრიან მონაკვეთზე გზის სავალ ნაწილზე ნაპრალები გაჩნდა, ჩამოიშალა კლდეც.

- მდგომარეობა არასახარბიელოა. აჭარის მთიანეთში თოვლი ისევ ხვავრიელადაა. გაზაფხულმა კოკისპირული წვიმები და წყალმოვარდნები იცის. მაშინ კიდევ უფრო რთული სიტუაციის წინაშე დავდგებით. გზის ამ მონაკვეთის მოვლა-შენახვა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტს ევალება. დროულად უნდა გაკეთდეს ნაპირსამაგრი კედელი, რომ გზაზე დიდი ტვირთამწეობის ტრანსპორტი შეუფერხებლად გადაადგილდეს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, სხეფელთა მაჟორიტარმა წარმომადგენლობით ორგანოში, რომელმაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, იავარქმნილი ტერიტორია მოინახულა.



ანდრი ქავთარაძე – 85

# პროფესიით – სატყეო ინჟინერი, მოწოდებით – სპორტის გულშემატკივარი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკ ანდრი ქავთარაძეს 85 წელი შეუსრულდა. პროფესიით სატყეო ინჟინერია, მაგრამ მას ბევრად უკეთ სპორტული საზოგადოება იცნობს. 1952-1967 წლიდან აქტიური სპორტსმენი იყო. არაერთხელ მოიპოვა საქართველოსა და აჭარის ჩემპიონის ტიტული ჭიდაობაში. საინჟინრო საქმეს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებოდა, სადაც ხშირად მონაწილეობდა ქალაქის პირველობებსა და ჩემპიონატებში, საპრიზო ადგილებსაც ისაკუთრებდა. 1959 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. 1961 წელს თბილისში ჩატარებული უმაღლესი სასწავლებლების სპორტის ფესტივალზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, არის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. რვა წელი იმსახურა აჭარის ჭიდაობის ფედერაციაში. იყო წლები, როცა ფედერაცია ხელმძღვანელის გარეშე დარჩა და მთელი პასუხისმგებლობა მას დაეკისრა.

ანდრი ქავთარაძე მწვრთნელადაც მუშაობდა. მან არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღზარდა, მათ შორის არიან (სხვადასხვა წონით კატეგორიაში) ევროპის შვიდი და მსოფლიოს ხუთი ჩემპიონი, ერთი ოლიმპიური ჩემპიონი. ის დღესაც გულშემატკივრობს სპორტს, ვერც კი წარმოუდგენია ცხოვრება მის გარეშე, აძლევს ახალგაზრდა სპორტსმენებს საყურადღებო რჩევებს.



განვლილ წლებს იგონებს და გვიყვება, თუ როგორ დაინტერესდა ჭიდაობით. ზესტაფონში დაიბადა, შემდეგ მახინჯაურის სკოლაში სწავლობდა. მისი ბიძაშვილი სახელოვანი სპორტსმენი დავით ციმაკურიძე გახლდათ, რომელსაც ხშირად დაყავდა ჭიდაობაზე, ფალავანთა კლუბში, იქ შეხვდა ცნობილ მოჭიდავეებს და ჭიდაობა თავადაც მოუნდა.

ჯერ მწვანე კონცხის ტექნიკუმში სწავლობდა, მერე - ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტში, შემდეგ სატყეო აკადემიაში გადავიდა, მეხუთე კურსიდან კი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

- ანდრისთან ერთად ინსტიტუტში ვსწავლობდი, ყოველთვის გამოირჩეოდა სხვებისგან, წარმატებით აბარებდა საგნებს. მრავალწლიანი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობებიდან დავრწმუნდი, რომ მას ისეთი არაორდინარული ღირებულებები გააჩნდა, ჩვეულებრივი ადამიანის აღქმის ფარგლებს რომ სცილდება, ეს, უდავოდ, მისი გენეტიკურად ჩამოყალიბებული, მემკვიდრული ნიშან-თვისებებისა და ოჯახური ტრადიციებიდან მომდინარეობს. წარჩინებული ოჯახის შვილი სხვაგვარი ვერ იქნებოდა. ანდრის დედა ნინო ციმაკურიძე და მამა მიხეილ ქავთარაძე ნამდვილი არისტოკრატები გახლდნენ. ანდრი სიკეთით სავსე ადამიანია, მეგობრების მოყვარული, ქართული ტრადიციების დამცველი... არის არაჩვეულებრივი მამა, მეუღლე, უშურველად გასცემს სითბოსა და სიკეთეს, სიყვარულსა და ერთგულებას, - გვითხრა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა ვანო პაპუნიძემ.

ანდრი ქავთარაძე მთელი ცხოვრება ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. სიქველით აღვსილი, დღესაც წარმატებით აბარებს გამოცდას კაცობაში, ადამიანობაში...

ვულოცავთ ბატონ ანდრის საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობასა და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ ამაგდარ ადამიანს.

# ახალ წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელზე გადართვა მიმდინარეობს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აღმაშენებლის, ტაბიძისა და ევდემოზ დიასამიძის ქუჩებზე მოსახლეობის ახალ წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელზე გადართვა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში 2500 გრძივი მეტრი ქსელი მოეწყო.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად, 1000-მდე ოჯახი ახალი ქსელით ისარგებლებს.

ევდემოზ დიასამიძის ქუჩაზე წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემა არ არსებობდა და ადგილობრივებს ათეული წლის განმავლობაში დისკომფორტს უქმნიდა.

# შეჯიბრება – სპორტულ დომინოში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97



ბათუმის ზღვისპირა პარკის საჭადრაკო კლუბში „ნონა“ ჩატარდა ღია ტურნირი სპორტულ დომინოში ვეტერანთა შორის, რომლის ორგანიზატორი გახლდათ აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია, ფინანსური მხარდამჭერი - აჭარის სპორტის დეპარტამენტი.

ვეტერან ქალბატონთა წყვილში პირველ ადგილზე გავიდნენ ეთერ ნაკაშიძე და სვეტლანა უტიანსკაია, მეორე ადგილი დაისაკუთრა ეთერ ჩავლეიშვილისა და თამარ ბურჭულაძის, მესამე - მედეა ბიბილეიშვილისა და ეთერ ცეცხლაძის წყვილმა.

მამაკაცებში პირველი ადგილი მოიპოვა გურამ თურმანიძისა და კოსტას სიდოროპულოს წყვილმა, მეორე - ზურაბ ვარდმანიძემ და ზაზა ფუნტურიამ, მესამე - გოჩა ჭალალიძემ და ვახტანგ მამინაშვილმა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა.

# საკალათბურთო კლუბი „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონია!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველოს თასის მოსაპოვებლად 16 გუნდი იბრძოდა. ბათუმელებმა, რომლებიც წარმატებით ასპარეზობდნენ, ფინალური შეხვედრა ქუთაისელ კალათბურთელებთან გამართეს თბილისში. დაძაბულ ბრძოლაში ჩვენმა საკალათბურთო კლუბმა ანგარიშით 73:69 სძლია მეტოქეს და საქართველოს თასი დაისაკუთრა.

ერთი წელია, რაც ბათუმელ კალათბურთელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ბუბა ბერიშვილი ჩაუდგა სათავეში. სხვათა შორის, 2003 წელს, როცა აღნიშნული ტურნირი დაარსდა, სწორედ ჩვენმა „ბასკომ“ მოიპოვა ეს ტიტული. მაშინ გუნდის შემადგენლობაში ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელიც თამაშობდა და... 19 წლის შემდეგ კლუბმა ტიტულის დაბრუნება შეძლო.

**- ბატონო ბუბა, გილოცავთ წარმატებას...**

- ამისთვის ვშრომობდით და დაგვიფასდა - თასის მოპოვება შევძელით. რაც შეეხება ფინალს, მატჩის დასაწყისში ცუდად ვთამაშობდით, მაგრამ შემდეგ შევძელით მობილიზება და მთელი გუნდის ჩართულობით, ბრძოლით მივედით მოგებამდე.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- ჩემპიონატი გრძელდება, 10 აპრილს ვხვდებით ბათუმში „ცხუმ აფხაზეთს“. თასის აღება მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენი მიზანია, სატურნირო ცხრილში რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე ავიდეთ, შემდეგ გაიმართება პლეი-ოფები, ნახევარფინალები. რა თქმა უნდა, ფინალამდე მისვლასა და ჩემპიონობაზეც ვფიქრობთ. ამისთვის მაქსიმუმს გავიღებთ, თუმცა ფორტუნამაც უნდა „გაგვიღიმოს“.



# სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადება

„სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი განგაშის სისტემით მიიღო შეტყობინება სხვადასხვა დასახელების შოკოლადის პროდუქტებში სალმონელას სავარაუდო არსებობის შესახებ. სააგენტომ კონკრეტული პარტიების გამოვლენისა და ამოღების პროცედურები მყისიერად დაიწყო - იმპორტიორ კომპანიებს მიაწოდა ინფორმაცია საეჭვო პარტიების შესახებ და დაავალა შოკოლადის პროდუქტის (ბრენდი: Uovo Maxi, აღწერილობა: KSOR MXI; K2,5X12 PC CHR RUS 2 დამზადების თარიღი 15.10.2021, ვარგისიანობის ვადა 12.07.2022, პარტიის №L288R03) რეალიზაციიდან ამოღება ან/და ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება/გამოთხოვა, დასაწყობება, რაოდენობის აღრიცხვა და გატარებული ქმედებების თაობაზე სურსათის ეროვნული სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირება. გარდა ამისა, სააგენტოს ინსპექტორები ჩაატარებენ არაგეგმურ ინსპექტირებასა და ზედამხედველობას აღნიშნული შოკოლადის იმპორტიორ ბიზნესოპერატორებთან. ევროპაში - დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში სალმონელას ასობით შემთხვევა დაფიქსირდა, განსაკუთრებით 10 წლამდე ბავშვებში, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია Ferrero-ს მიერ წარმოებული სხვადასხვა დასახელების „ქინდერის“ შოკოლადის პროდუქტის Salmonella Typhimurium-ით დაბინძურების ფაქტთან. აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა სურსათის სხვადასხვა ქვეყნის ბაზრიდან გამოთხოვა, რეალიზაციის აკრძალვა და მომხმარებელთა ინფორმირება“,- ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

## განცხადებები

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში დასაქმებულთა აჭარის დამოუკიდებელი დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ექიმი-ინფექციონისტი

**დავით მურვანიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ცინარიძე ოჯახით თანაუგრძნობს მეგი, ვეფხვია კონცელიძეებს, მირიან აბაშიძეს მამის, ძმისა და სიმამრის

**ხვიჩა კონცელიძის**

გარდაცვალების გამო.

ნინო ხაჭაპურიძე ოჯახით თანაუგრძნობს მარიკა ტუღუშს მამამთილის

**დავით მურვანიძის**

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/04/22, 20 00 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# „შემდგარად მიმაჩნია ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა“

ნაირა ზუტკარაძე 27 48 93

*ალექსანდრე ლომაძე ბსუ-ის მესამე კურსის წარმატებული სტუდენტია, რასაც მოწმობს მის მიერ გამოცემული წიგნები „Grammar Promoter“ (ინგლისური ენის გრამატიკა) და „Vocabulary Promoter“ (ფრაზული ზმნები), ამავდროულად, ონლაინრეჟიმში დამოუკიდებლად ასწავლის ამერიკაში ჩასულ ემიგრანტებს, ჰყავს აბიტურიენტებიც. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა რომაა, ამაში ეს ინტერვიუც დაგარწმუნებთ.*

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი ვარ. დავიბადე და გავიზარდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში. დავამთავრე ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. საკმაოდ ადრეულ - 20 წლის ასაკში ვარ ორი ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ავტორი.



**- რამ გადაგაწყვეტინათ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტს ინგლისური ენის სახელმძღვანელოების დაწერა?**

- მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ პროფესიას მოვკიდე ხელი, არასდროს დამიყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ ჩემი პროფესიის არჩევანის სისწორე. თავიდანვე ნათლად მქონდა ფორმულირებული მიზეზები, რის გამოც სწავლა არ გავაგრძელე ინგლისური ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე, ძირითადად კი განმაპირობებელი ფაქტორი ენის მაღალ დონეზე ცოდნა იყო. ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მომეცა საშუალება, ორ პროფესიაში ერთდროულად დავხელოვნებულიყავი. ამასთან, მიმდინარე პერიოდში დამატებითი (მაინორი) პროგრამის სახით ვსწავლობ ინგლისურ ფილოლოგიას, თუმცა პროგრამა ძალიან მარტივია და ჩემთვის ნაკლებად ემსახურება ახალი ცოდნის შეძენას. ამის პარალელურად, მოგეხსენებათ, წიგნზე მუშაობა ურთულესი და დროში გაწელილი პროცესია, რომელიც მოითხოვს საკუთარ თავზე უდიდესი პასუხისმგებლობის აღებასა და ნახევრად უძილო ღამეებს. გარკვეულწილად, დიდი კონტრიბუცია გამიწია ისეთი სასწავლო დისციპლინების ცოდნამ, როგორებიცაა დროისა და რესურსების მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი და ასე შემდეგ. მიმდინარე წლის ზაფხულში ვაპირებ მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლას, რომლის შემდეგაც გავივლი მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამას და მივიღებ უფროსი მასწავლებლის სტატუსს. ამასთან, არ მოვდუნებულვარ ძირითად პროფესიაშიც... სწავლის დაწყების პირველივე წლიდან გავდიოდი სტაჟირებას დირექტორის ასისტენტის პოზიციაზე. ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო ინგლისურ ენაზე ბიზნესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატიის მომზადება და უცხოური აუდიტორიისთვის შეთავაზება, მათთვის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული შეთავაზებების მომზადება და ასისტენცია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ გამოცდილება არ მქონდა, საუკეთესო დამსაქმებლის წყალობით, შევძელი ჩემი ძირითადი სპეციალიზაციის მხრივ განვითარება და უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება.

**- ახალგაზრდა ხართ და უკვე წარმატებული, იყიდება თქვენი წიგნები. გვიამბეთ, რამ შთაგაგონათ მათი გამოცემა?**

- ასაკთან დაკავშირებით ხშირად ყოფილა გაკვირვება საზოგადოებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, პოზიტიური. ვფიქრობ, ასაკი განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის, თუკი ადამიანი არის თავისი საქმის პროფესიონალი და ცდილობს თავისი შესაძლებლობების საზოგადოდ დემონსტრირებას. მე-2 კურსის განმავლობაში ონლაინ ვასწავლიდი ერთ-ერთ კერძო ცენტრში და ხშირად მქონია პრობლემები სასწავლო რესურსების მხრივ. ამ მხრივ უკმარისობის გრძნობამ და ჩემმა მასწავლებლებმა (მათ შორის, ჩემი პირველი წიგნის რედაქტორებმა) მომცეს სტიმული, თავად შემექმნა სასწავლო რესურსები ქართველი შემსწავლელებისთვის. დღესდღეობით ონლაინ, დამოუკიდებლად ვასწავლი ამერიკაში ჩასულ ემიგრანტებს. ამასთან, მყავს აბიტურიენტებიც. ჩემი პირველი წიგნი - Grammar Promoter-ი შედგება 530 გვერდისგან და სრულად ფარავს გრამატიკულ საკითხებს C1 დონის ჩათვლით. წიგნში თეორია ახსნილია ინგლისურად და ქართულად, მარტივ და გასაგებ ენაზე, რომლებსაც მოჰყვება რეალური სიტუაციების სიმულაციური და თანამედროვე ყოფის მაგალითებით დაკომპლექტებული პრაქტიკული სავარჯიშოები. მეორე წიგნი რამდენიმე თვის წინ გამოვიდა, თავდაპირველად ელექტრონული ფორმით, თუმცა მომხმარებლის ბეჭდური ფორმით შესყიდვისადმი მაღალი მზაობის გამო დავბეჭდე რამდენიმე ათეული ეგზემპლარი. დღეის მდგომარეობით, წიგნები იყიდება თბილისის მაღაზიებში, მე კი დარჩენილი მაქვს მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი. რთულია საკუთარი ნაშრომის შეფასება, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე წიგნმა მასწავლებლების ძალიან დიდი კეთილგანწყობა დაიმსახურა და დარწმუნებული ვარ, მომდევნო წლიდან უფრო და უფრო მეტი ადამიანი იხელმძღვანელებს ჩემი წიგნებით. რაც შეეხება სიახლეებს, როგორც წესი, წინასწარ არ ვსაუბრობ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრ კარგ სიახლეს შევთავაზებ ამ მხრივ დაინტერესებულ საზოგადოებას.

**- რამდენი ხანი მუშაობდით ზემოაღნიშნული წიგნების გამოცემაზე, რა სირთულეებს წააწყდით?**

- პირველი წიგნი საკმაოდ მოცულობითი იყო, რომელსაც დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა. პანდემიის ფონზე, 1 წლის თავზე შეიქმნა წიგნის პირველი გამოცემის საბოლოო ვერსია ელექტრონულად. გამომდინარე იქიდან, რომ Grammar Promoter-ის პირველი ვერსია ხელნაწერია და 750 გვერდს შეადგენდა, რამდენიმე თვე დასჭირდა მის გაელექტრონულებას. სამწუხაროდ, ხშირად მქონია ელექტროენერგიასთან, ტექნიკასთან და დროსთან დაკავშირებული პრობლემები. მიუხედავად ამისა, არცერთ წამს არ მიფიქრია მუშაობის შეწყვეტაზე, რადგან თითოეული ახალი გვერდი უდიდესი მოტივაციის მომცემი იყო მუშაობის გასაგრძელებლად. არა მხოლოდ წიგნების დაწერა იყო ერთ-ერთი ურთულესი ეტაპი, არამედ ბევრ წინააღმდეგობას წავაწყდი მათი გამოცემისას. საკუთარი ძალებით (ფინანსური, ფიზიკური...) მომიხდა გამომცემლობისა და სტამბის მოძებნა და წიგნების დაბეჭდვა. სამწუხაროდ, მხარდაჭერა არ მიმიღია არც უნივერსიტეტისგან და არც ადგილობრივი მერიისგან.

**- ვისთვისაა წიგნები განკუთვნილი?**

- წიგნების გამოყენება შესაძლებელია მაღალი კლასების მოსწავლეებთან, განსაკუთრებით კი აბიტურიენტებთან, ამასთან, ნებისმიერ ზრდასრულ ენის შესწავლის მსურველთან.

**- როგორ სწავლობდით სკოლაში? მშობლები იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, ყოველ საღამოს რომ იბარებენ გაკვეთილებს?**

- სიმართლე გითხრათ, სკოლაში სწავლის პერიოდში არცთუ ისე გახსნილი ვიყავი და საკუთარ თავთან ჩაკეტილობის გამო ხშირად ვაწყდებოდი საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგად ვსწავლობდი და სკოლა ვერცხლის მედალზე დავამთავრე. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, დაწყებით კლასებში მშობელი მართლაც იბარებდა გაკვეთილებს, მე-5-7 კლასებში გაკვეთილებზეც კი მესწრებოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვსწავლობდი ან სკოლის შინაგანაწესს არ ვემორჩილებოდი, ყველა მშობელს სურს, შვილმა ისწავლოს და სკოლაში დროის გაყვანისთვის არ იაროს.

**- როგორი იყო მოსწავლეობის პერიოდი და სასურველი პროფესიისთვის მზადება?**

- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩაბარება რომ გადავწყვიტე, სულ რაღაც ერთი წელი მქონდა დარჩენილი მოსამზადებლად. როდესაც მათემატიკის რეპეტიტორთან მივედი, ჩემი კომპეტენცია ამ საგანში ნულს უტოლდებოდა და მასწავლებელმა ერთი თვე მომცა იმის განსასაზღვრად, რამდენად დავძლევდი პროგრამას. საბოლოოდ, არამხოლოდ ბარიერი გადავლახე, ერთ-ერთი მაღალი შეფასებაც მივიღე. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა საგანში არ ვემზადებოდი, გრანტის აღება ვერ შევძელი. სამაგიეროდ, უნივერსიტეტში წარმატებით სწავლის გამო ვიღებ სახელმწიფო სტიპენდიას, რომელიც ნაწილობრივ ფარავს სწავლის გადასახადს.




**- გარდა იმისა, რომ სკოლასა და უნივერსიტეტში მიიღო კარგი განათლება, კიდევ რა არის საჭირო შენს პროფესიაში წარმატებული რომ გახდე?**

- იმისათვის, რომ გახდე წარმატებული, რეალურად უნდა გსურდეს იმ სფეროში განვითარება, რომელიც გხიბლავს და საუკეთესოდ გამოგდის. ხშირად შევხვედრივარ შემთხვევას, როცა უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებენ არასწორი მიმართულებით და საერთოდაც არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ყველა ახალგაზრდა უნივერსიტეტს უნდა ამთავრებდეს დიპლომის მისაღებად. თანამედროვე შრომის ბაზარზე დიპლომს არავინ ითხოვს და არც უნდა ითხოვდეს. დღეს უფრო მნიშვნელოვანია შენი უნარი საქმის საკეთებლად და პროდუქტიულობა. თანამედროვე მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა Apple, Tesla, Google... რეალურად არ ანიჭებენ ადამიანს უპირატესობას იმ ნიშნით, რომ მათ აქვთ ბაკალავრისა თუ მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები. ისინი საშუალებას აძლევენ ინდივიდებს, ორგანიზაციაში წარმოაჩინონ საკუთარი პოტენციალი და გადაინაცვლონ კარიერის ზემდგომ საფეხურებზე.

**- შემდგარი ადამიანი როგორ წარმოგიდგენიათ? ხედავთ ასეთ ადამიანებს? ანუ ვინაა თქვენთვის სამაგალითო და გზამკვლევი...**

- შემდგარად მიმაჩნია ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. პრაქტიკაში და ყოველდღიურობაში ხშირად ვაწყდები უამრავ უპასუხისმგებლო გამოვლინებას, რაც ქმნის დროსთან დაკავშირებულ პრობლემებს, დრო კი თანამედროვე სამყაროში ფასდაუდებელია... კონკრეტულად ვერ გამოვყოფ ისეთ ადამიანს, რომლის კვალდაკვალაც ვცდილობ საკუთარი თავის ჩამოყალიბებას.

**- სულიერი ზრდისთვის რას აკეთებთ, ლიტერატურას თუ კითხულობთ, რა გიტაცებთ, რა აღგაფრთოვანებთ და დადებითად განგაწყობთ?**

- სამწუხაროდ, ბევრ თქვენგანს იმედები უნდა გავუცრუო, რადგან კითხვა არ მხიბლავს. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადად ვსწავლობ და ვმუშაობ, ყოველთვის ვცდილობ ისეთი ადგილების მოძებნას, სადაც განტვირთვის შესაძლებლობა მექნება.

**- განათლებული გონება აუმჯობესებს ზნეობას - ამ პოსტულატს, მგონი, არ დაუკარგავს მნიშვნელობა. როგორია თქვენი შეხედულება?**

- რა თქმა უნდა, ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ განათლებული გონება ზნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს. ყოველთვის არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, თუმცა მთლიანობაში, ვფიქრობ, მაინც ასეა.

**- სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე არ გიფიქრიათ?**

- სამწუხაროდ უნივერსიტეტმა ვერ მომცა შესაძლებლობა, სწავლა საზღვარგარეთ გამეგრძელებინა. ჩემი თავდაპირველი მიზანიც ამ კონკრეტული უნივერსიტეტის არჩევისას, მათი გადმოცემით, გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნება იყო, თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს მოგვეცა საბერძნეთში ან ბულგარეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა (ბულგარეთის ცენოვის ეკონომიკის აკადემიიდან მოწვევაც კი მივიღე), თუმცა უარი განვაცხადე, რადგან ამ ქვეყნებში სწავლამ ვერ დამაინტერესა. უსამართლობა იქნებოდა, თუ პანდემიას მივაწერდით ფაქტს, რადგან საქართველოს სხვა დანარჩენი უნივერსიტეტები საკმაოდ ფართო არჩევანს სთავაზობდნენ სტუდენტებს. უახლოეს მომავალში მინდა მაგისტრატურა გავიარო საზღვარგარეთის რომელიმე მოწინავე ქვეყნის უნივერსიტეტში, სადაც, დარწმუნებული ვარ, მივიღებ დიდ საერთაშორისო გამოცდილებას.

**- შეკითხვა - საკუთარ თავს...**

- როდესაც საკუთარ მოკლე ისტორიას გადავავლებ თვალს, მიჩნდება კითხვა: როგორ მოვედი დამოუკიდებლად აქამდე?! პასუხი ნამდვილად არ ვიცი, ალბათ, შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

## „არ გვინდა, თავი წაგვაცალოთ!“ – ილია თოფურია დვალიშვილს გამოექომაგა




დღეს UFC-ში ალჯამეინ სტერლინგსა და პიოტრ იანს შორის საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართება. შეხვედრამდე სპორტსმენებს შორის ე. წ. Trash Talking-იც პიკს აღწევს. გუშინ რუსმა მებრძოლმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი გუნდი ალჯამეინ სტერლინგის გუნდის წევრებს სადაც ნახავდა, იქვე მოკლავდა: „თუ ალჯამეინ სტერლინგის გუნდის რომელიმე წევრი შეგვხვდება, იქვე მოვკლავთ. შაბათს არ დაველოდებით“, - თქვა იანმა. რუსი სპორტსმენის ამ ულირს ჟესტს საკუთარ Instagram-გვერდზე UFC-ის ქართველი მებრძოლი ილია თოფურია გამოეხმაურა: „მის გუნდში არის ერთი ადამიანი, რომელსაც ძმად მივიჩნევ, შესაბამისად, გამოდის, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ვიმედოვნებ, ჭკვიანად იქნები. არ გვინდა, თავი წაგვაცალოთ, მადლობა“, - დაწერა თოფურიამ.

***შეგახსენებთ:** ალჯამეინ სტერლინგსა და პიოტრ იანს შორის ქვემსუბუქი წონის საჩემპიონო ორთაბრძოლა საქართველოს დროით 06:00 საათიდან გაიმართება.*

ამირან ბურჭულაძე